

ԽՅՈՏՄ ԱՂՅԱՏՆԴ

ԿԵՆՏԻՈՆ ԶՊՂԻԾՈ



ԽՅՈՏՄ ՃՂՅԱՆՂ

ԿԵՆՏՐՈՆ ԴՕՂԴԼԵՐ

ԵԿՏՅՈՆԻ, 2017

ავტორისგან

კვლავ შევხვდით.

ლაპარაკი არ მეხერხება, არც წინასიტყვაობა, მხოლოდ ფიქრი და
წერა.

ბევრჯერ მითქვამს და ვიმეორებ, ჩემი ბიოგრაფია უინტერესოა,
მოსაწყენიც კი.

ყველას თავისი მინიერი სამოთხე აქვს. ჩემი სამოთხე შავია.

ცხოვრების უხშირესი არსებები ყვავ-ყორნები არიან.

ისინი იწვევენ ჩემი მუხების აბსოლუტურ უმრავლეობას.

თითქმის ყოველ ღამეს ყორნის ეფექტი აქვს.

დადებით კითხვებზე მათ მხოლოდ ერთსიტყვიანი პასუხი აქვთ და
ეს პასუხი არავის მოსწონს, უარყოფითებზე კი მკაცრად დუმან.

ისინი მხოლოდ ერთ ბგერას, ერთ მკვლელ ბგერას გამოსცემენ.

აქაც და ყველგან, ახლაც და ყოველთვის, ეს ასეა და ასე იქნება.

რედაქტორი, კორექტორი, მხატვარი

ზვიად მეფარე

ჟურნალ „განთიადის“ კომპიუტერული ცენტრი

ოპერატორები: ეთერ ქემხაძე, ნინო ბუცხრიკიძე

ყორნის ეფექტი

17.05.2016.

ყორნის ეფექტი ქონდა ღამეს. ქროდა მაგია
გრიგალის ნაცვლად და წყვდიადი სანთელს ელოდა
იქ, სადაც სუფრა ქვის გულები სარკოფაგია
და სისინებდა გველგესლების უდარდელობა.

შავ-თეთრ განთიადს გემო შერჩა მაშინ მჟავე ბლის,
მკვლელი კივილი ჩაისმოდა სულში ტურათა,
ვეძებდით ხელებს ფიროსმანის დამსაფლავებლის,
იმ ფიროსმანის, ვინც კიბისქვეშ მიაყურადა,

როგორ ადიოდ-ჩადიოდნენ მასზე სნობები...
თურმე გენიოსს სამარისთვის ცოცხლად იმეტებს
ბრბო, როცა მხატვარს
ვერც წასვლისას ვემშვიდობებით
და მიუგნებელ სამარეში ვატანთ იმედებს.

ერი მიირთმევს გახრწნილ სარჩოს! აქარაშოტებს
ნიავეს ევროპა! ბრუნდებიან გველი და სავლე...
ქართველი უკან დაბრუნდება აღარასოდეს,
რადგან სოდომის სუნი ეცა თურმე დასავლეთს!

ფხიზლად! ადექით სარეცლიდან! რა დროს ძიძია,
რა დროს დაღუპვა, რა დროს მტერი! ონისე, შეხტი
მახვილით ლაშქრის შუაგულში, იქ ხომ იციან:
ქართველები ვართ!... ღამეს ქონდა ყორნის ეფექტი.

ცისიქითელი

09.06.2016.

(სალომეს)

შენ ისე მავსებ, ვით მშიერის კალათას პური,
როგორც ცარიელ სასმისს წმინდა ალადასტური.

ისე გიყურებ, როგორც შვებას კაცი დაღლილი,
მე შენი სული გავიხადე თბილი სახლივით.

რაც დაგინახე, აღარ ვკვდები, აღარც ვთავდები,
შენი ფაქიზი სამყაროა ამის თავდები.

დამთავრდნენ ჩემი უიღბლობის თეთრი ბინდები,
ისე ვმალდები, რომ სიკვდილსაც არ ვუშინდები.

შენ აქანავებ შორ სივრცეში ღრუბლის ჰამაკებს,
მიყვარს, რაც შენი სიყვარულის ფვარზე ამაგებს.

ვიცი, მომავლის ჰორიზონტებს ახლა რით ელი,
ვიცი, მინაზე რისთვის მოხვდი ცისიქითელი:

ჩვენ ორნი მუდამ უნდა ვიყოთ, როგორც უშრეტი
ცეცხლი, რომელმაც გაიარა ყველა უფრედი.

31.05.2016.

მშობლების ნახვა მომენატრა... ვნახავ სურათებს,
ცოტათი მაინც ხომ შემივსებს შეხვედრის სურვილს?
ასეა ღმერთიც; ხატთან მივალ, მივაყურადებ,
რომ ტანში სულის განახლების აფეთქდეს ჭურვი.

თეთრი ჭოტჯი

31.01.2016.

ექიმი ლექსი, მაღლა მფრენი, როგორც არწივი, გაურბის მიწას, როგორც მეფე გლახის საცხოვრისს, ყოველდღიურად თვალწინ უდგას ჯვარცმა მაცხოვრის, მიწაზე ათრევს და დასცინის ხალხი მარტივი.

მიწავ, ავო და უკეთურო, იკივლე და შვი პროზა: ის შენ გგავს... და შენს ზურგზე ათრია მეფემ დევნილის ბედი, სადაც თავებს ატრიალებენ თეთრი ჭოტჯები, რომ „მიიღონ“ სამოთხის საშვი.

სიტყვას არავის ვეტყვი თავის გარდა: „ნახე, ეს ჭკვიანი ღამის ფრინველები რაებს ბოდავენ, ღამის მცხოვრები ვერ იქნება თეთრზე მოდავე და სულ ამოდ იღებავენ თეთრად სახეებს.“

სიგაქლის სენი

20.05.2016.

ერს ჩააფრინდა ჭამა-სმისგან მაძლარი სენი, ველარაფერზე ფიქრობს კაცი, საკვების გარდა... ფარულად ისევ ბატონობენ თათქარიძენი, ისევ მკაცრია კარისკაცი სამოთხის კართან.

მიედინება დაფანტული ვერცხლის სიშავე კაცთა სულელებში აყროლებულ ღვარცოფად და აქ, თეთრს და შავს შორის განსხვავებას სადაც თიშავენ, ტანჯვა-წამება დედამიწას სტიგმებად დააქვს.

პას მონოლოგი

21.01.2016.

გველმა არ მითხრა, ცნობადის ხეს ვაშლი თუ ება, იქნებ, კაცს ეთქვა, რომ ვნახავდით ღმერთის უებარ

სიტყვას, ჩვენც თუკი ვიცხოვრებდით სიტყვაში ღმერთის...
იმ ცოდვის შემდეგ ველარ ვხარობთ ვერც მე და ვერც ის,

ვისი ძვლისგანაც შევიქმენი და ვინც ყოველთვის
იმ ტკივილებით უნდა ვშობო, ვნებას რომ ერთვის.

ათასი წლობით მაყვედრიან მას შემდეგ: „ქალო,
შენ მხოლოდ ბავშვი უნდა შობო და მუდამ თვალო

იმავე კაცის სურვილები, შენ რომ აგემე
ვაშლის სიმწარე...“ დავიკვნიტო უნდა ბაგე მე,

შვილის ყოველი გაჩენისას ვიტანჯო უნდა,
სიკვდილის შემდეგ, მე რაღა ვქნა, თუ არ დაბრუნდა

სიმშვიდე ბალის, უანგარო სიმწვანე მისი?
მიუხედავად სასჯელისა, ყოველთვის ვიცი:

რომ ჭრილობებზე მოთმინების მკვლელ ეკლებს ვისევ
და ბალში ადგილს ქმარ-შვილისთვის დავთმობდი ისევ.

16.05.2016.

მონარქებს უნდათ, ანარეკლი იწამონ სარკის,
მაგრამ ამაზრზენ ისტორიებს ამხელს არქივი:
ფურთხის ღირსია, ვინც ვერ ირგებს ძალას მონარქის
და მცირეს ჩაგრავს ქედმაღალი იერარქივით.

სამძივარი

10.05.2016.

ჩემს დაკრძალვაზე მესაფლავეს ეტყვის სამძივარს
 სიცარიელე... ასე იყოს დაე... მოიცდის
 სული სხვა ტანში აღდგომამდე და კვლავ ჩამძირავს
 თავის წიაღში უგემური ზღვა ეგოისტის.

კანკალი მიტანს. ვილაც მლოკავს მზერით. მელოტი
 ქუჩა ღმუოდა, როგორც ძალი, დაბმული მზეში.
 ძვლებში მტეხავენ ტურნირები და კამელოტი
 და უზნელესი დერეფნისკენ ავიღე გეზი.

შემოდრიალდა ტვინში დელგმა! ისევ ძაგძაგებს
 და ძალას მმატებს თითებშუა ცეცხლი უკვამლო.
 სადღაც მიყვები მარადიულ, გრძელ ლიანდაგებს,
 სიკვდილის სურნელს სურვილები რომ დაფუნამლო.

ვიგებ ეშაფოტს ეკლებისგან... ყველგან არ ისმის
 ჩემი ყვირილი და ვლოცულობ ყვირილის ნაცვლად...
 მე ვარ ნადავლი უძილობის მკაცრი ქარიზმის
 და მელანდება სიჩუმეში მწვერვალზე ასვლა.

იარალს ვკოცნი

14.04.2016.

იარალს ვკოცნი და ფიალას სიკვდილით ვივსებ...
 ამქვეყნად რალა დამრჩენია, ვინმემ თუ იცის?
 უკანასკნელად დავალაგებ ტაეპებს მწკრივზე
 და ყველაიმედდაკარგული ვიწყებ სუიციდს.

ტურნე

01.04.2016.

ვნატრობ სამარის მდუმარებას: მომბეზრდა ხმები!...
თითქოს, დამაგდეს უდაბნოში და შიგნით ვხმები,

ამოდის ცეცხლი ქუსლებიდან შუბლამდე, თურმე...
ხილულის მიღმა ყორნისფერი ენყობა ტურნე.

მძიმეა ჩემთვის ყველა ჯილა, გარდა ეკლების,
ტბის ზედაპირზე დავაბიჯებ და ვირეკლები,

ვგრძნობ, მილურჯდება შიგნეული, როგორც ცხედარი,
ველარც ვიღიმი, ველარც ვტირი, ველარც მხნედ არი

სული, რომელიც მენრთობოდა მეგონა, ადრე...
რაც ჩემი იყო ბავშვობისას, ვჩეხე და ვფატრე,

მზის სხივებს მუდამ აკლდებიან ჩემი საკნები,
ვარ აკლდამაში, მინდა გარეთ და ვიკლაკნები,

მაგრამ არ მიკვირს, ჩემი ელჩი სულ სხვას რომ შეხვდა:
ბოლოს და ბოლოს, ერთი მზე აქვთ ვარდთა და ნეხვთა.

აპრილის წვიმა

16.04.2016.

აპრილის წვიმა ხმებს ისე ცრის, თითქოს გათიბეს
ირგვლივ სიჩუმე... რა ქათქათა იყო ეს ღამე...
ახლა ბუდიდან ჩამოვარდნილ ბარტყს უნატიფეს
გრძნობით, მშობელი ბელურები სახლში შესხამენ.

რუხი პეტიცია

24.01.2016.

ოთახის, სახლის, ეზოს გარეთ რუხად შეთენდა და როგორ მტკივა, როცა სახლში მხოლოდ კუპრიან ბნელში ვუყურებ, როგორ მიღრენს მტკნარი ლეგენდა, რომ ხარის ტყავზე ცოლ-ქმარს ტკბილად უსაუბრია.

დრო იყო, ვთვლიდი მთელ ქვეყანას ერთ დიდ სამხეცედ, ახლა თვალები სიბრალულთ მევსება მხეცთა, გრძნობებო, დაე, ტკივილებით ექვსად დამკეცეთ, ოღონდ, მაჩვენეთ, რომ ბოროტი ჭკუიდან შეცდა...

მეორე ლოყა ვის გსურთ ჩემი? მეფე ბრძანდებით? მიწასთან უნდა გაგასწორო დუმილის მეხო! თავს აღარასდროს მანებებენ რუხი ლანდები და აღარასდროს ვიტყვი მშვიდად: ქაოსი მეყო.

შენ გახსოვს

01.05.2016.

(სალომეს)

შენ გახსოვს, როგორ თამაშობდი, ლალი და ნორჩი... მარტოს არასდროს გტოვებს ფიქრი, სადაც ნვალებით ჩემს სამყაროში გაცოცხლდები, თეთრში და შორში და უკვდავებას იხილავენ შენი თვალები.

ყველა მარტოა მედიდური და რჩება მარტო, მაგრამ ჩვენ, როცა ვიბადებით, ილიმის ღმერთიც და შეწირულის გონებაში ის ფიქრი გვართობს, სამყაროს მკერდში როგორ გავჩნდით და როგორ ვძგერდით.

აქიმი ლაქსი

23.12.2015.

მე მძინავს. კენესით მოეთრევა დუმილი ძაძის და მოთმინებადაკარგულმა ნიკნიკს მიმართა კედლის საათმა... ღამე ნელა ოთაში დადის, როგორც უძირო მოლოდინის ზღვა პატიმართა.

სხვენი ივსება აუხსნელი სულებით... დადის ექიმი ლექსი, ტრიალებენ შავი ბორბლები, ახლა დავხატავ ჩამოძონძილ გამყიდველს ხატის და წვიმის წვეთის ოკეანით დავიდობლები.

მნახეს, მოფრინდნენ! მიკვივან თეთრი ქოტები, ვგრძნობ საუკუნის შიმშილისას მოყრილ ნარჩენებს, მე აღარასდროს აღარავის შევეცოდები და მარადიულ მარტოობას მიგანაჩენებს... ექიმი ლექსი.

მუჟი ლანდეზი

07.10.2015.

რა ამაოა სიყვარულის გარეშე ლოცვაც!
თითქოს გავყვირი ღმერთის სახლში, უნდა ვხედავდე, როცა განღმრთობილ მდუმარებას თუ როგორ მოსვამს სული, მკვდრებისთვის ჩამოსული ჯოჯოხეთამდე.

რა ხშირად ისმის სიჩუმეში ღრენა მშიერთა:
„პური, უფალო!...“ იყინება თვალებში ბოღმა, რაც გონჯი იყო, სულ ახლახანს გამშვენნიერდა: სიკვდილი... ასე გადაწყვიტა ხორცის ამბოხმა.

რატომ სინათლე, როცა მჯერა მუქი ლანდების?
 კვლავ დავეთრევი თუმცა ქვეყნად, სულ სხვა მოტივით:
 მე ყოველ ღამით ვიბადები და ვფრთიანდები
 და მყოფნის ღამე... დღისით დამაქვს სული ლოდივით.

ორეული

28.05.2009.

მე ვდგავარ თვალებდანისლული და სიბალღამეს
 ვასმევ სინანულს და ვიგონებ მე ჩემს ორეულს,
 მზე ენატრება მზერას, ცხელს და სიზმარმორეულს
 და მთხოვს სინათლე, რომ წავართვა თასი მთვრალ ღამეს,
 სული მიტირის და სიზმარი წარსულს აგვამებს.

რაა ცხოვრება? ან მის შემდეგ რაღა იქნება?
 ვარ? უნდა ვიყო? სიალუბლე აღარ აქვთ თვალებს!
 მხოლოდ რიჟრაჟი თუ ამშვიდებს სხეულს ნანვალებს
 და თუმცა ფიქრში ყველა ბალი თვალწინ მიქრება,
 მე აღარ მანევს ქვეყნის ტვირთი მძიმე ფიქრებად.

მე ვარ საკრავი საკრალური! შავი სიმები
 არიან ჩემი უჯრედები. მიწვავს ბრბო ნოტებს,
 მე ჩემი კალმით გველებს ვებრძვი, ასე ბოროტებს,
 ვუსმენ მთრთოლვარე სულის ჩურჩულს და ვიღიმები,
 რომ მესობიან ვარსკვლავების შავი ქიმები.

არა! იქ წავალ, სადაც სუნთქვას არ აქვს ზიანი
 და მტრედებივით სადაც ფრენენ სულთა გუნდები,
 საკუთარ სხეულს მინას მივცემ და დავბრუნდები,
 რომ არ მომაკლდეს ცა და ხსოვნა, ასე მზიანი,
 დავრჩები მარად ახალგაზრდა და სევდიანი.

ვინც თავს ვერ ხედავს

02.10.2015.

ვინც თავს ვერ ხედავს ღმერთის მიერ შექმნილ თიხათა მსგავსად და ჯერა, რომ რგებია ხედავ რჩეულთა, გაუაზრებლად ყალიბდება ქვაზე მიხატულ რქიანის ჯიშად... უკვე სული დაუსნეულდა.

მღვიმეში მყოფი კაცის მსგავსად, არ ყოფნის ცის ხმა და ყველგან ეძებს მზის სინათლეს, მასში დევს, როცა, ასე ჩაკეტა განძიც ძუნწი მდიდარის ზიზღმა და მისი ხვეჭის ყრუ-მუნჯ მსურველს იმდენი დროც არ

რჩება, უბრალოდ, რომ შეენყოს ცხოვრების სიბრძნეს, იგი საუბრობს, იგი მართავს, ტოვებს და მიდის... და რისთვის? სადაც უჯრედებმა სიკვდილი იგრძნეს, იქ სულს აღდგომას უკრძალავდა მნგრეველი ხიდის.

მე-ნანგრევი

11.04.2016.

ის ნანგრევი ვარ, სადაც ბოლოს დაიბუდა ბუმ, გველებისაგან განდევნილმა როცა ინება, რომ თეთრ სიჩუმეს შეჩვეოდა ტყეში უდაბურ და იქ ეხილა ცივი ზამთრის მოლოგინება.

როცა შემოდგა შემოდგომა კალთებზე შუბლის, მას არაფერი დარჩენოდა იქ წასვლის გარდა, სადაც ავადმყოფ მოგონებებს ის ფიქრი უვლის, რომელმაც სასტიკ თვითგარიყვას ახადა ფარდა.

საფლავის სურათი

17.01.2011.

ჩემს ირგვლივ ფეთქავს ყველა ნივთის გამყოფი ხაზი, ჩემს მშვიერ სტომაქს ცარიელი დასდევდა თეფში. მალლიდან ტანზე მეღვრებოდა მსუბუქი ჯაზი, ხილულის მიღმა ღრიალებდა მდინარე მთებში, გულში ეკლები მესობოდნენ, მკვლელი და ნაზი.

ისევ ჯიუტად დავეძებდი საფლავის სურათს, მე მხარზე მაჯდა ჩემი გიდი – უდაბნოს ყვავი, ყველგან ვიყავი, სადაც კაცის ოცნება ცურავს, რასაც გაურბის წარმოსახვა, იქაც ვიყავი, ვწურავდი ჩემს გულს, ვაზის ნაყოფს და სხვა სანურავს.

მე არ ვიცოდი, თუკი ლექსშიც იყო სიავე, აღარ ვზიდავდი თორემ ლექსის არც გვირგვინს, არც ჯვარს, ყველა მოვლენა ჩემში ფეთქავს, ნერვებს მიავეებს, აღარ გაურბის სული მათთვის გლოვას და ტანჯვას, ნაზი უშნოა, კუდიანი – მოფერიავე.

პილატეს ძღვენი

31.03.2016.

ერთხელ ვინწინეთ, რად დაგვიჯდა პილატეს ძღვენი, ვერცხლი იუდას სახრჩობელის იქცა ემბლემად, ვნახეთ, რომ აღდგა მაცხოვარი, მშვიდი და ბრძენი, მაგრამ კაცუნებს დღესაც ვერცხლი ემბრძანებლებათ.

პოეტი

06.01.2009.

ცხოვრობს და თავის სამყაროს ქმნის ერთი პოეტი.
 კვებავს, არწყულებს, ანარნარებს
 ქათქათა ფურცლებს,
 ის იდეენება, რომ გადარჩეს Neo-ნოეთი
 და მედროვეთა ირონიას დუმილით უძლებს.

მისი მოლბერტი მის სულშია! ის ხატავს ამბავს
 გარიყულ კაცზე, მიტოვებულ ერთ აკლდამაზე...
 მას იპოვნინან! დრო სინანულს ცრემლებში განბანს,
 ერთად ცხოვრობენ სიმახინჯე და სილამაზე!

შუბლებს უნათებთ მომავალი, ასე მეფურებს,
 მაგრამ ეს სხივი ბადეს გახევს, არ მოედება!
 ჭამს გველთა მოდგმას და ერთმანეთს აესთეტურებს
 ეკლის სინაზე და სინაზის გაპოეტება!

მოფენილია მისი ველი ლურჯი ტიტებით,
 ის წერს და ამბობს: „ჩვენ ერთნი ვართ
 ყველგან და არსად!
 ეკლები არ გვაქვს! მოახლოვდით! არ ვიჩხვლიტებით!
 იყო პოეტი – ეს ხვედრია ტკივილის ფასად!

რას ვწერ? რას ვამბობ? რატომ მქვია
 ღმერთო, პოეტი?
 ჩვენი გულები ერთად სცემენ, ერთნი არიან!
 რატომ სიცივე, სიუცხოვე და მარტოეთი?!
 ზარი, რომელიც მკერდში ტირის, თქვენი ზარია!“

ღვინო დაუსხით მოგონებას 07.08.2008.

მინდა ამინდი. პირამიდა. სხვაგან რა მინდა.
ანდა რა უნდა ბარხანებში ამინდს, სუსხიანს,
თუ ეს უდაბნო სიკვდილისგან მიხსნის, დამინდობს,
მე მას ვენდობი; იქ აბზინდებს წყალი უსხიათ.

სხვა ცოცხლობს სხვაგან. იცოცხლებენ
ვინმესთვის მკვდრებიც.

ყველა სიცოცხლე სიცოცხლეა? სიკვდილი, ანდა?
მე და დუმილი ნაბიჯ-ნაბიჯ მწვერვალზე ვძვრებით,
მიწას დავყურებთ, სადაც წელან ეშმაკიც ჩანდა!

აღზევებაა ეს დაცემა! მზესთან ვარ ახლოს!
მზის სხივთან ერთად ძვლებში აღწევს
მწვერვალის სუსხიც,
ვინ იტყვის, სხეულს ბასრმა ცელმა ხელი არ ახლოს?!
მაგრამ არ კვდება მოგონება! ღვინო დაუსხით!

ვიღვიძებ, ვახელ 30.03.2016.

ჩამოსრილდა ღრუბლებიდან ბურუსი ლეგა,
ქარი ისე სტვენს, თითქოს შლეგად მესმის შავლეგო,
მარტის შემოჭრამ ყიამყრალი ყინვა წალეკა,
მე კი მინდა, რომ ნაზამთრალი ყოფაც წავლეკო.

ექოშინებ, როგორც მენამულის ხილვისას ხარი:
მე არ მსურს მხოლოდ დავინწყება. ვიღვიძებ, ვახელ
თვალეებს და ვიცი: არ იქნება სიცოცხლე მყარი,
თუ მომავალში არ ჩავაქსოვ პოეტის სახელს.

ალთქაშული მიწა

26.06.2007.

იქ, სადაც თრთოლვა გაზაფხულის, სხეულს ანიჭებს
დაუფერებელ სიმსუბუქეს, როგორც მზე ზეცას,
მე და კალამი მივადგებით ოქროს კარიბჭეს
და თვლემა წარსულს დააფარებს დათრთვილულ ზენარს.

ყველგან ვიყავით, იქაც, სადაც იყო არავინ,
უფრედთა ჯგლეთა გვეფრქვეოდა ძვირ ღვინოსავით,
იქ, უცხო ბაღში, რიტუალის იდგა კარავი
და დემონები ქეიფობდნენ გვირგვინოსანი.

ჩვენს თვალწინ მითი დაუხატავთ თითქოს და ვინჩებს,
სადაც ტყის სული კვამლის ეშმაკს დუელს უმართავს,
თითქოს მისი ხმა ველურ ყიჟინს სხეულს ანიჭებს,
რომ იმბრძანებლოს ფრთებდალენილ უცხო სტუმართან.

მარტოსულ შვლის ნუკრს გვაგონებდა ჩხავილი ტურის.
როგორ იწოდა შორიახლო გლოვა სანთელის!
მზეს აჩოქებდა მთვარის ფეთქვა იდიოტური
და სულის კენესას ვერ გვიხშობდა ღრმა ღრიანცელიც.

სულის სიღრმიდან ამომხტარი მკვლელი კივილის
მოქროდა ხვათქი, გაგანია, როგორც ბუხარი,
მაზიდებს მზერა – პარაზიტებს ათრობთ ტკივილი,
სამყაროს გლოვა, უღმერთობა ასე მწუხარე!

ვინ მოთვლის წვეთებს ცრემლის, ოფლის, სიავეს სოფლის?!
დამპალი ლეშის ძიძგნის ნებამ დადაფნა სვავი,
ნეტავ, ვის ესმის ძილში ნანად გლოვა მგალობლის,
ვინ გადარჩება უკვდავების შარბათნასვამი?

ხროვა ლანდების – კმაყოფილი თავის პერსონით,
 მხატავი იყო მახინჯი და უღიმღამო დღის,
 რა მზერა ქონდათ, რა თვალები უაღერსონი,
 როგორ აფრთხოვდნენ პერსონაჟებს მკვდარი სამოთხის!

ერთ-ერთ მათგანს კი, კოჭლს, საშინელს და უცხვირპიროს,
 სურს, რომ განშორდეს დაშხამული სულის პატრონებს,
 მას აღარ უნდა, საუკუნოდ ასე იტიროს,
 ვიდრე განგება ნათელ სიზმრებს არ აბატონებს.

ეს შავი მხარე იყო ქვეყნის, თეთრს კი, მეორეს,
 როგორ შვენოდა ის ნათელი, ღმერთო, ძლიერო!
 ბნელი, რომელიც გზაზე წყევლას ამეტეორებს,
 მხოლოდ შენ იცი, როგორ უნდა აწამიერო!

ამ ბაღში ქრება ჯოჯოხეთი, ასე მურდალი,
 არც ზეცამ იცის, ქარიშხალი სიოდ რატო ქრის,
 აღთქმული მიწის, ფერმკრთალდება მზე ნაქურდალი,
 როგორც ზღაპარში კვდება ნება ავი ჯადოქრის.

ველარაფერი შეედრება სავსე ფიალებს!
 რა აჩანჩქერებს ამ ნალკოტში ნაცნობ მოტივებს?
 ეს სინოტივე ხვალის ბურუსს ააღრიალებს,
 როცა დაისიც აისია საღამოთივე!

19.02.2016.

ვარ საკუთარი ბრაზის მკვლელი ხშირად, რადგან ის
 არ იქცევს კაცთა სიძულვილად გულში, არამედ
 მხნე მწყემსის მიმართ მორჩილებად იქცევს ბატკანის
 და ის მიყვარდეს, რაც სიბრაზეს მიქცევს სხვა რამედ.

2. ზ. მეფარე

აჩრდილი

10-17.05.2007.

ჩემი აჩრდილი ჩემს სამარეს ესტუმრა ერთხელ,
 მზერა მიაპყრო საფლავის ქვის ეპიტაფიას,
 არარსებულმა ქვის წარწერამ აჩრდილს მოუთხრო:

„ერთად ვლესავდით (იყო ხანა) ბატის ფრთის კვერთხებს,
 შენ მოძრავ სხეულს კარნახობდი ლექსს, თუ კაფიას
 და ჩვენ შიგნიდან გვასკდებოდნენ მუზები უფრო.

როცა სულს მთვარეს დაუღევდა ღამის ნათელი,
 ჩვენ გავდიოდით ბნელ ქუჩებში, როგორც მწირები,
 რომ შეგვხებოდა ამა ქვეყნის სახე შეშლილი.

იქ საიქიოს ხმებს ისროდა სხვა ჟრუანტელი,
 მაშინ ვთქვი: „მინდა, განვიცადო, მას ვენირები,“
 ის ხმები გვგრძნობდნენ, მისტიური და გაღმეილი.

როგორ აფრქვევდა მუქშავ სხივებს ღამე თაკარა!
 ვხვდებოდით: სურვილს სიკაშკაშით ველარ მოსავდა,
 ახლაც თეთრ ფურცლებს ის სიზმარი ეჯადოსნება!

ღამის ცხოვრებამ ჩვენს სულს ბრჭყალი ვერ დააკარა,
 ჩვენ მას ვმართავდით, როგორც ნება გვირგვინოსანთა
 და ვარსკვლავები – ცის თვალების პატიოსნება.

ცისქვეშ მდებარე ბორდელიდან ხტოდა ხარხარი,
 ღმუოდა მიწა, ჩვენ გვესმოდა ხმები სიმყრალის,
 ბრწყინავდა ქუჩა, ბნელი, როგორც თვალები აფთრის.

თეატრის შუქზე გვესობოდა მისი ლახვარი,
 ყმები ვიყავით იმ ღიმილის, ნაუტიფრალის
 და გვაჩოქებდა უხილავი ალი კელაპტრის.

როგორ ვებრძოდით ამა ქვეყნად არსებას, მიძიმეს...
როცა ღრიალი გვინდებოდა, ვიღებდით კალამს,
რომ სიკვდილისთვის არ დაგვეთმო ცხელი მკერდები

და ძველებურად მკარნახობდი ხვალინდელ იმედს
და ძველებურად ჩამოვხსნიდით ქათქათა ალამს,
რომ დამდნარიყვნენ ცივ სახეზე აისბერგები.

ღუქნის ბრდღვიალი გვიზიდავდა, როგორც ფარვანებს,
ჩვენი მდევარი დაგვეყვებოდა – წარსულის სევდა
და გვაძალებდა გაკვამლული დარბაზით თრობას.

ვენაფებოდით ნეტარების ზღვას და სავანეს,
წითლად დაღვრილი ჯვრის სიმძიმე მხრებზე გვანევდა,
ჩვენ კი დილამდე დავცინოდით მიუსაფრობას.

ხანდახან ისე დავთვრებოდით, ცა აღარ ჩანდა,
მიწის ცქერით და ცის სიმძიმით დაგვხროდა თავი,
გულში ვყვიროდით: „ცა და მიწა მხოლოდ ჩვენია!”

მაშინ ჩვენს სულს და სხეულს შორის ჩაეშვა ფარდა,
ანდა, ბრმა იყო თითქოს ჩვენი ღამის მხატავი,
გვეგონა: „ღამე დიონისეს გაუჩენია!”

დილით იქიდან გამოვრბოდით ასე მთვრალეები,
ქალაქის სივრცეს ვაყრუებდით თეთრი ნათებით,
რა უცხოოდ ჟღერდა ღამის ძილში ჩვენი არია!

აჩრდილო, გჯერა? იმ დროს ახლაც ვეტრფიალები,
უხვად გაჟღენთილს ქალაქური ბაიათებით,
„ეს ხალხი დილით – ხალხს უკვირდა – რამ გადარია?”

(მხოლოდ დილამდე) ნამთვრალევი ჩვენი ყოფა კი თვალებს გვიხელდა ჩვენი დროის პატარა ბარტყებს, რათა გვეჯეროდეს – „ჩვენი დილაც ხშირად შავია...”

მზერას გვიგლეჯდა უხილავი ჩვენი ქოფაკი, როგორც ცერბერი უდარაჯებს მიუსაფარ ტყვეს, რომელიც კალმის შავ სცენებზე დამგეშავია.

მე თქვენში ვგრძნობდი ღამეებო, ლანდზე ულანდეს არტისტებს, მხატვრებს, მუსიკოსებს და თეატრალებს, თქვენში ხომ ფეთქვა იგრძნობოდა ცხელი გულების.

ვუერთდებოდი სხვა სამყაროს დებიუტანტებს და პანის შიშით გაფურბოდით, ვინც მზეს ამყრალებს და ვინც მონაა მყრალ ორგულთა განკარგულების.

შვეესისხლხორცეთ ღამის თრთოლვას, ტკბილს და შხამიანს, ჩვენმა ბგერებმა შავზე თეთრად უცხო ისტუმრეს, ჩვენშიც ხომ ახლაც იმ წარსულის ჟინი ციალებს.

მხოლოდ სიბნელე ცნობდა ჩვენში სხვა ადამიანს, მაგრამ მასაც კი, ჩვენი ყოფის მესაიდუმლეს, არ ვუმჟღავნებდით არც სახეს, არც ინიციალებს.

მეუბნებოდი: „დღეს არ ენდო, ის ზღაპარია, მაშინვე მოხვალ, ჩაგიქრება თვალები როცა და გაგახარებს მარადმწვანე ქვეყნის ოცნება.”

დღეს მეუბნები: „შენი სუნთქვა მონაპარია გუშინდელი დღის... შენი მეკვლე – უნაპირო ცა, ის, რაც დატოვე, დროის მიერ დაიკოცნება!”

როგორ ვცხოვრობდით, სულო ჩემო, შავი ზღაპრებით!
იმ ტკბილი ხილვით თითქოს მწვანე გზაც იმოსება...
მისი ნათება, გახსოვს, შურდა თვითონ ჰელიოსს?

ბედის სიავით უკვე აღარ დავიზაფრებით,
მომავალს იხსნის გუშინდელში დავისოსება
ის ამეტიყველებს ქალაღდს, გულებს, ტლუს, თუ გენიოსს.

არის ისეთიც – ჭიქას აწევს – „ვინც ვერ დაესწრო
ამას, თუ იმას, მოდი, მაშინ, მას გაუმარჯოს,
მათ გაუმარჯოს, ამ ნათელ დღეს ვინც ვერ ესწრება,

დე, ყოფილიყოს ეს სასმისი დიდი მანეტრო
და მათი ხსოვნით გაეჟღეროს ჩონგურს, თუ ბანჯოს,
ჭიქის ნკრიალის იქ მისვლოდეთ გაორკესტრება!“

ბრძენი მრჩეველი

24.02.2016.

ბრძენი მრჩეველი სიკვდილია მხოლოდ. იგი თუ
არ გინდა, მაშინ უარყავი მისი სამეფო,
ადრე, თუ გვიან, გავუდგებით მაინც იქითურ
გზას, სადაც გველის ჰორიზონტი უნამნამებო.

მაგრამ მანამდე ფერს ჩვენ ვირჩევთ სააქაოსას,
რომელიც იქაც გამოგვეყვება, იქაც იმეფებს
და ჩვენი სული თუ ნვალებამ ააქაოსა,
იქ სამუდამოდ დანებდება შავ-თეთრ დინებებს.

ღუმდა საღამო

23.01.2007.

ღამეს ჩეხავდა ხაოიან აჩრდილთა როშვა.
 რკენა, ღრჭიალი მოისმოდა ყრუ სამყაროდან.
 აქ სისხლისფერი ჰორიზონტი უდროო დრომ შვა
 და დრომ ჩამიკლა, ბავშვობაში რაც დამხაროდა.

ღუმდა სიბნელე, გაშხლართული მწვანე მდელოზე,
 სივრცეც, მოსილი ჭუჭყიანი, ვინრო ქუჩებით,
 კალამს შერწყმულ ფანტაზიავ, მეანგელოზე
 და ჩვენ შავ-თეთრი მთვარის შუქზეც გავირუჯებით.

გადათხაპნილი ბაგეებით ჩხაოდა ჩრდილი,
 ხტოდნენ ქალაში უჯრედების ბნელი ბრბოები,
 წარსულს ღეჭავდნენ ქვესკნელიდან ცაში აზრდილი
 ნანალკოტები, უბოლოო უდაბნოები.

მეღვიძება და ვეთქვიფები ტყვიისფერ ქაოსს,
 თეთრი და ყოვლის წამლეკავი ქარი დაქროდა,
 ვდევნიდი კოშმარს, შხამს ვგესლავდი, ან ვჩხვლეტდი ხაოს,
 რომ იღუმალი ქვეყნის სიღრმე მეგრძნო ახლოდან.

ყველგან თან მღევდნენ სიყმანვილის შავი შტრიხები,
 კოცონის კოცნით ინვებოდნენ თვეები, წლები,
 მეც, ერთ დროს წელში გამართული, დავიგრიხები
 და ვიცვი, ერთ დროს ჩემს კალამსაც შემოვეცლები.

ღუმდა, საღამო, განოლილი მწვანე მდელოზე,
 სივრცეც, მოსილი მშობლიური, ვინრო ქუჩებით,
 კალამს შერწყმულ ფანტაზიავ, მეანგელოზე,
 ღამის სინათლე მომახარე ლურჯი ტუჩებით.

თუ მოდის ღამე

04.11.2006.

თუ ბედისწერა თავისი გზით ინებებს რონინს,
 თუ მოდის ღამე, შევერცხლილი, თეთრი ფუნჯებით,
 ბნელ საუფლოში თუ მზის სხივიც ვერ ბედავს ბოგინს,
 სიკვდილის მგმობი მისივე ცელს თუ ვემუნჯებით,

დე, გავხდე მზეო, თანამგზავრი შენი სხივების,
 დე მომანიჭე სხივნართმეულს შენი გენები,
 დე გამანათე, მარად ბნელთან ნაიგივები,
 დე ამიტაცე, მეც ბნელს იქით ჩავესვენები!

თუ ბედისწერას თავისი გზით ნებავს დინება,
 მოვა საღამო, აღწერილი მძიმე კალმებით,
 მაშინ სიბნელეც ნათელ ფერებს შეერკინება
 და ჩემს თვალებში შემოჭრილ სხივს მივესალმები.

თიბათვის შვრია

04.02.2016.

(სალომეს)

შენი არსება არითმული გულის ძარღვია,
 ჩვენ ახლა ვსუნთქავთ გატრუნული ფოთლების შრიალს,
 ჩიტების სტვენამ დილის რიტმი ვერ დაარღვია
 და ვუსმენ შენს თმებს, როგორც მინდვრად
 თიბათვის შვრიას.

ჩემი ხელებით წელზე, დგახარ, დუმხარ და მელი,
 გიყურებ, როგორც წყალს მწყურვალი,
 როგორც დათესილ
 მინდორს მთესველი, თითქოს მოდის ბარაქის წელი
 და ჩვენ ორნი ვართ ამ ბარაქის სიქათქათეში.

ძილქუში

04.12.2015.

მე ვუხმობ ჩემთან ლანდთა ჯგუფებს. ხმებოდა დილა.
რკინის ტოტები ემტვრეოდათ ცხედარ ლაგუნებს.
ვილაცამ ბედი თიხასავით ტორებით ზილა.

მე ვუხმობ ჩემთან ლანდთა ჯგუფებს. ხმებოდა დილა.
არ დამიჯეროთ, წარმოსახვა მემსხვრევა წვრილად!...
მე აღარ ვიცი, გული სად მაქვს, სად მიბაგუნებს.

მე ვუხმობ ჩემთან ლანდთა ჯგუფებს. ხმებოდა დილა.
რკინის ტოტები ემტვრეოდათ ცხედარ ლაგუნებს.

ახლა მგონია, არ მეკუთვნის ძილქუში სანდო,
ახლა მგონია, რომ სიხარულს ვითხოვ ნაადრევს,
რომ საკუთარი განაჩენი ბურუსში ვშანთო.

ახლა მგონია, არ მეკუთვნის ძილქუში სანდო...
დაჭიმულ ნერვებს კიდევ რისთვის მიწენავ, ლანდო?
ახლა ეშმაკი ჩემს სულს კუპრის ფსკერზე ჩაათრევს.

ახლა მგონია, არ მეკუთვნის ძილქუში სანდო,
ახლა მგონია, რომ სიხარულს ვითხოვ ნაადრევს.

ალური სუნთქვა

28.11.2015.

მე გავყვებოდი იმ მენავეს, რომელიც გადის
ამა სოფლიდან იმ სარკმელში, სადაც ანთია
ცეცხლი და სიტყვაც ფრთხილობს, როგორც ნაბიჯი კატის.

მე გავყვებოდი იმ მენავეს, რომელიც გადის...
ვიცი, რომ ფესვებს ჩემში მალე გაიდგამს ღრმად ის
ცეცხლი, რომელშიც ანგელოზის თეთრი ლანდია.

მე გავყვებოდი იმ მენავეს, რომელიც გადის
ამა სოფლიდან იმ სარკმელში, სადაც ანთია

ალური სუნთქვა... მე ვიჯექი ლოდზე სიცივის...
ყინავს თვალებში მოზაიკურ, ბურუსი დაობს,
დახტის მათრახი და ყურებში ქარი მიწივის.

ალური სუნთქვა. მე ვიჯექი ლოდზე სიცივის,
გვიანი ხსოვნის განთიადი, მე ხომ ვიცი, ვის
საფლავს დაუშრობს მგლოვიარის ცრემლების ჭაობს...

ალური სუნთქვა! მე ვიჯექი ლოდზე სიცივის,
ყინავს თვალებში მოზაიკურ, ბურუსი დაობს.

ქვიშის მირაჟი

03.03.2006.

ჩემი კატორღა დასასრულის დებიუტია,
ამურის მშვილდი – ანგარება ჩემი ავდარის,
მჯერა, რატომღაც, რომ ავსულის დღე ჯიუტია,
აფროდიტეს ტყვე, ლაბირინთის ვარ ბინადარი.

შენი ისარი მარგალიტი და ფირუზია,
შენი დუმილი – სხეულის და სულის ჯალათი,
ტკივილს ჩააკვდა უანგარო, ღრმა ილუზია,
დღესასწაული მოდიოდა, როგორც ლალატი.

ზეცას ატირებს ქარიშხალი, ავდრის სიავე...
საგრძნობი დამრჩა არაფერი დარდის კვირაში!
ვინ დაიჯერებს, რომ ჟამთასვლა გაანიავებს
ისრის სამსალას? ჩვენ გვანვალებს ქვიშის მირაჟი.

ჭაოზის მუჯლისი

10.11.2015.

ვდგავარ გონებადაბინდული და ველოდები,
როდის დამიტევს ნაკვალევი მარადი ეტლის,
იკვეთებიან სულის ფსკერზე მჟავე ლოდები.

ვდგავარ გონებადაბინდული და ველოდები,
ირგვლივ ცხოვრების შენდებიან კამელოტები,
გულგაყინული, მეც ავყევი ჭაოზის მეჯლისს.

ვდგავარ გონებადაბინდული და ველოდები,
როდის დამიტევს ნაკვალევი მარადი ეტლის.

წართმეულთვალეზგახელილი ჩემს სხეულს შევრჩი,
ბრმა პოლიფემე კლდეებს მესვრის, „თვალს“ არ მაცილებს,
სიშიშვლე ვნახე საბოლოოდ ქალაქის ტვერში.

წართმეულთვალეზგახელილი ჩემს სხეულს შევრჩი,
სიკვდილის შემდეგ, ნეტავ, ლექსად მაქცია ბევრში,
ლექსად ვფანტავდე ირგვლივ ჩემი ხსოვნის ბაცილებს.

წართმეულთვალეზგახელილი ჩემს სხეულს შევრჩი,
ბრმა პოლიფემე კლდეებს მესვრის, „თვალს“ არ მაცილებს.

16.02.2016.

(სალომეს)

შენს ყოფას მუდამ გაზაფხულის სუნთქვა ემოსა
და ვიცი, რომ მეც სიამაყის ზეცა მომელის,
როცა ვუყურებ კოხტა თავზე დიადემოსან
შუბლს, დედოფლური სიდიადით ბრწყინავს რომელიც.

ცეცხლი და ძილი

08.12.2015.

მომაკვდავ ხეებს ამათრახებთ ქართალი ქოტის.
 მოდის ტკაცანი ყვავილების. ნვეთავდა ლორწო.
 უხოროცო სულებს ასულდგმულებს სველი ბილიკის
 ქილიკის თეთრი მდუმარება. ზამთარი კვენესის
 ნესის გარეშე... ტყეთა ლულულს ელოდნენ ცივი
 სხივის უძილო ღამეები. კაცის პირობა
 უნაპირობას აეფრინა უსივრცო ცაში.
 მაშინ თვალები გავახილე. ვხედავ: მტრედები.
 ვედები ეკლის ლობე-ყორის ბინძურნარჩენებს,
 მარვენებს შორი ჰორიზონტი მენამულტიტრებს,
 მითრევს ჯიუტი დებიუტი – ლავა. ქარისხე
 დავახარისხენაფოტებად... ცეცხლი და ძილი.

თაჯჯაბი

11.06.2016.

ნინ უსასრულოდ მეკლაკნება მოკანკალე გზა...
 საით მივდივარ ეული, ნეტავ?
 ბრაზის დათმენა უთქმელ სიტყვად ფიქრმა გალექსა,
 მეკიდუმილის იარაღს ვჭედავ.
 ვიცი: თევზები ღია პირის გამო კვდებიან
 (მხოლოდ თევზებზე არ ვამბობ ამას)
 ჭამის სურვილი ველარ შველის მრგვალნაკვთებიან
 მჭამელს და ელის გასკდომის დრამას.
 ხანდახან ვფიქრობ: „რუტინაა ყოფის სადავეც...”
 ესეც მორიგი ცდა არის იმის,
 მჯეროდეს, რასაც დემონები მხოლოდ ხატავენ,
 რომ ველარ შევძლო ზიდვა სიმძიმის.

თეზის ნილოსი

01.03.2013.

(სალომეს)

ეგ დალალები, დაკლაკნილი, როგორც ნილოსი, ღმერთის ფუნჯიდან იღებს სათავეს. ეს თრთოლა ჩემი ღამისაა, მარმარილოსი, როცა თვალები მუზებს მართავენ. შენიდან წასვლა იქნებოდა ჩემი შერისხვა და განდევნიდი სახიდან სიცილს, გავირინდები შენთან, როგორც გიშრისფერი ზღვა, როგორც მძინარემ ღრმა ძილში იცის. ფიქრებო, იქნებ, შეისმინოთ ეს ქადაგება, იქნებ გამლექსოთ, იქნებ დამინდოთ – მე უმაღლესი სიყვარული მესადაგება, თუნდაც უმზეოდ და უამინდოდ.

რიონის მთვარა

23.12.2011.

(სალომეს)

რიონისპირას თვალახვეულს თითებს მომიტან და ჩვენი მონმე იქნება მთვარე, ძვირფასო, გხედავ ქარვისფერი შემოდგომიდან, როცა ვებრძოდი სიკვდილის თარეშს. რიონისპირას სასუფეველს სულში მომიტან.

გიყურებ მუნჯი, აღარ ძალმიძს წარმოთქმა რამის, შენს თმებში თეთრი ენძელებია და ეს წუთები, მშვენიერი წუთები ღამის, გასათენებლად მეძნელებიან!... ვბრმავდები, აღარ შემიძლია დანახვა რამის.

საიდან გაჩნდი ასე თბილი, დილის მზესავით,
 საიდან გაჩნდი ასეთი ნეტავ,
 სხივად მოხვედი, სულის მუზებს ენათესავე
 ანგელოზო და სიცოცხლის დედავ,
 საიდან გაჩნდი ასე თბილი, დილის მზესავით.

მომეცი ხელი სიბნელეში, აინთე ცაში
 (არ დაივიწყო შენი მისია)
 მე – თვალხილული, ბედნიერი ვიქნები მაშინ,
 სადაც სამყაროს ოაზისია!
 მომეცი ხელი სიბნელეში, აინთე ცაში.

გზავნილი ალმასს

20.11.2008.

ჩემს უჯრედებზე სიყვარულის კრიფავ ოქტავეებს,
 და ჯალათების არმიას მისევ,
 ძირფასო, შენთან პეპელაც კი არ იმოკვდავებს,
 მე კი მოვკვდი და აღვდექი ისევ.

ჩემზე იტყვიან: (ვგრძნობ, დროება მოდის ასეთი)
 „ის სიყვარულში გავდა ტანტალოსს,“
 მე ვინვი შენი დაუმტკნარი სიალმასეთი,
 რომ სულში ბნელმა ვერ იშანდალოს.

მე ვიცი, რომ აქვთ მკვდრებს გრძნობები;
 მიტირე მკვდარი,
 და ამიშენე ფიქრების გორა,
 მე ვგრძნობ, როგორ ცვლის დარს ავდარი,
 ავდარს კი – დარი;
 აღარ მიღიმის ავი ავრორა.

პანსამი

01.09.2006.

ჯერ არ მინახავს, ასე შიშით გაფითრებული
 და ამავე დროს ასეთი ბნელი,
 უყორნისფრესი, ლამის მეგზური
 ასე დაეთროს ლამის ჩვენებს.
 მე მელანდება აჩრდილებით დაფეთებული
 და ცეცხლოვანი ვერცხლით მეტყველი
 სახე თორმეტი თანამესუფრის.
 ლამე პაექრობს და გათენებას
 მარადისობა ჯერაც აკლია.
 ჩემი აჩრდილი მეცამეტეა,
 რომელიც მოსავს ათასწლეულებს.
 სუფრა საერთო და შეჩვენებას
 თორმეტი კერძი მოუნამლია
 და ამ ჩემს ჯამში ღრმა სინმინდეა,
 მაგრამ ლალატი დაასწეულებს.
 ყუფის ცხედარო, რატომ არ გსურდა,
 რომ უარგეყო ეს ტირანია,
 რატომ ჩაგახტა თავში იდეა,
 რომ დაენყევლე ათასწლეულებს?!
 ჩემს კერძს დაენყო გადაშავება,
 მე კი დამენყო ვახშმომანია,
 ვიცი, ჩემს ჯამში რომ სიდიდეა,
 ლალატში ნაზავ უძვლო სხეულებს
 ისიც დაეტკბოთ.
 უნდა შევება მე მონამლულ კერძს,
 ამიტანია მე ცხადში მეტიც!
 რა სიგიჟეა, რატომ ვუჯერებ
 სულს უგრძნეულებს, უორნამენტოს?!
 აენტო ლამე.

ღამის ხის ნაყოფი

21.12.2015.

ვგრძნობ, იქ გამირბის მწირი გონება,
 სადაც ნაყოფი მოჩანს ღამის ხის,
 სადაც თამადა ამბობს „ღამისხის“
 და სადაც გლოვა არასოდეს გამეგონება.

ეს გრძნობა ძლიერ კოცონს იქ ანთებს,
 სადაც უჩინო ბალის ჭერია
 და ბავშვობისას დამიჭერია
 პეპლები... მინდა, მხოლოდ საქმით ვგავდეთ გიგანტებს.

„ნეტავ, დუმილში ვიყავით როდის?“
 მავანს დავუწყე მკვახე კამათი.
 მე ვიამაყებ იმ აკლდამათი,
 სადაც ვარ, არ ვარ, ჩანს და არ ჩანს, მიდის და მოდის.

სულის ტიტრები

06.01.2014.

სულის ეკრანზე მიშვებენ ტიტრებს,
 ვაღებ ალაყაფს, გავდივარ ბაღში,
 მინისქვეშეთის ბურანი მითრევს,
 ვბრმავდები მყისვე და ეშმაკთან დავეძებ კავშირს.

ზედმეტ სინათლეს ირგვლივ ვერ ვიტან,
 თვალწინ მენწყობა ძვლების მაგიდა,
 ცეცხლი დავანთე ყველა ნერვიდან,
 მაგრამ ამიტომ გამომაგდეს სწორედ ბალიდან.

ხარის ცრემლებით ამფორას ვავსებ,
 სადღაც თვალები ხტიან, გიჟები,
 მე ახლა ანდერძს ვწერ ვეფხვის ტყავზე
 და თორმეტ თვეში ჩემს წლისთავზე გეპატიჟებით.

ნულარ ამიხსნი

07.11.2006.

ნულარ ამიხსნი, ნულარაფერს ნულარ ამიხსნი,
 არაფერია რადგან სიტყვები.

შენ თუ დაიხსნი, დატყვევებულ სულს თუ დაიხსნი,
 თუ ნისლს გაფანტავ არდავინყების,
 დამნუხრდებიან თვითონ დაიხსნი.

დამნუხრდებიან დაისები – ჟამია მნუხრის,
 ოთახს აშუქებს მენამული გიზგიზი ბუხრის.

ახლა თავს იკლავს ბნელი სული, ბნელი მკლავებით,
 რადგან დაცემამ შავი ღრუბლების,
 ცა აკამკაშოს ბრილიანტთა ავარსკვლავებით,
 ზღვისფერ რიჟრაჟთან გასაუბრებით
 გამეფდეს სუნთქვა გაუკვდავების,
 აღმოსავლეთით როცა დილას ელამუნება
 მენამულ დისკოდ გარდაქმნილი მზე და ბუნება.

ველი განთიადს

28.11.2013.

ველი განთიადს. შუალამე სუნთქვას იკრებდა.
 ბრუნავს ეს ტანი.

ყვირილი მანგრევეს, მარტო ვრჩები უგრძეს ფიქრებთან,
 როგორც დესპანი
 მეფესთან, მტრისგან ახალ ამბავს რომელიც ელის,
 ავდება ღამე.

ჩემი ყვირილი ყვითელია, კომმარი – მკვლელი:
 სტრიქონის მისხამენ.

მხოლოდ უფსკრულში ვიყურები ფიალის ნაცვლად;
 ფსკერი შორს არის,
 მე ღია ზღვაში, შორ რეისში ვისურვე გასვლა
 ჩემი კორსარის.

მარტოობა

11.05.2016.

მე მარტო ვარ, არავინ მყავს და ყოველთვის დაღლილს მენატრება ჩახუტება მანანნალა ძაღლის.

მე მარტო ვარ, არავინ მყავს და ყოველთვის მშია, დამრჩა კაცთა გამოხედვა სამუდამოდ ჩია.

მე მარტო ვარ, არავინ მყავს და ყოველთვის ვიზამ, დამავალეს რაც ღმერთმა და ანგელოზმა ცისამ.

მე მარტო ვარ, არავინ მყავს და მუდმივად დავრჩი დაჩაგრული მანანნალის შეუბღალავ მსჯავრში.

მე მარტო ვარ, არავინ მყავს, მე უბრალოდ, ვარ და მინდა, კაცში არ განახოთ, გული როგორ ყარდა.

მე მარტო ვარ, ვეძებ ლუკმას და თქვენსკენ მაქვს ხელი გამონვდილი, მაგრამ თქვენგან მხოლოდ გრძნობებს ველი.

მე მარტო ვარ, არავინ მყავს, მინდა, მხოლოდ, ვნახო, როგორ ყვავი მამაღმერთის მოსავლელო ბალო!

მე მარტო ვარ, არავინ მყავს, მე მარტო ვარ, მარტო, მწყურია და მშია, მაგრამ არაფერზე ვდარდობ.

მე მარტო ვარ, არავინ მყავს, მე ვერავინ მიგებს, ჩამოვრჩები რადგან ვერცხლის მოყვარულთა რიგებს.

გემი ვაგე, მაგრამ არსად მიყავს გემს არავინ... მხოლოდ მე ვარ გემზე მგზავრი, ყრუ და შემზარავი.

3. ზ. მეფარე

მინა იძვრის

15.10.2015.

მინა იძვრის, თითქოს მოდის პერსონაჟი რაბლესი, მე ვიზრდები, გაზაფხულზე როგორც მწვანე მცენარე, ვარ დროდადრო კარგი, ავი, დიდი და უმდაბლესი და შუადღე ჩემი ყოფის, ლექსად გავასცენარე.

წვიმა ანგრევს ირგვლივ ყოველს, როგორც სმენას სატირა, ველანდები ჩემს ანარეკლს, გავჩემთავდი ბადეში, ალბათ, ვილაც მოტირალმა თავზე გადამატირა; ვწვალობ, მაგრამ მაინც რჩება გული უფოლადესი.

ვცისკარდები, როგორც თოვლი, გავყორნისფრდი ზარმაცი, დავგვიანდი სუფრის თავში დასაჯდომად თამადა, შემოდგომის სიავეკარგე შემოყარა ქარმა შინ და უძირო მდუმარებამ სული დამიავადა.

ვწუნავ წითელ წელიწადის წვრილ, წონოლა ლავინებს, ყურში ვიცობ იმქვეყნიურ, მანანნალა გრიგალებს, წამოვდგები ფეხზე, როცა სუნთქვის დონე დამინევს და კვარცხლბეკზე (ჩემს საკუთარ!) ვერ გამაინტრიგანებს...
ე გ ო.

10.12.2015.

ვინც რა მოჭორა, ყველამ მბრწყინავ ჩარჩოს მიარგო, აპიარებენ ავადმყოფთა უმეცარ ლაყაფს და მარადიულ თმენაშია საპატრიარქო, ბრბოს კი საბრალო მონაჭორი „ზეცაში“ აყავს.

ხმალი და დიაღემა

27.12.2015.

დღეს იმდენი ვიფიქრე, სული გამძვრა ექვსპირი:
 ნეტავ, როგორ ვაშენო მუდმივობის კედლები?
 უცებ, თვალწინ დამიდგა კუზიანი შექსპირი,
 კალმოსანი, მფლობელი აუხსნელი შეძლების.

ამომასკდა ღრიალი უცებ მღვრიე ყელიდან,
 დამებორკა ხელების მოძრაობა უცინო,
 ისევ სიზმრის ისრების შემოტევებს ველი და
 ისევ მინდა, სიბნელეს მკლავი გადავუგრიხო!

მე შევლზე უცნობი ფერით წიგნის გვერდები,
 სადაც ჩემი მთრთოლვარე პოეზია შევიდა,
 მაგრამ ღიმილდაკარგულ ჩემს სხეულში ვბერდები,
 რომ მწვერვალზე ავიდე ცეცხლოვანი ხევიდან!

უნდა ვჭედო სხივებით ხმალი და დიაღემა,
 ისეთი, რომ დაიდოს წიგნის ყველა თაროზე!
 ავიტაცე ღრუბლებში ლექსის გადაიდება
 და ყვითელი მახვილის ტარზე ვიავგაროზე!

კომპარნარევი ჰორიზონტს მუჭში ვიქცევ, არასდროს,
 არსად რომ არ გაფრინდეს იმედივით და ვთვრები
 ხილვით, სადაც ძლივს ვამჩნევ შორს გაფრენილ
 ალბატროსს...

მუდამ ნატრობს პოეტი, არ ხდებიან ნატვრები!

მინა ყოველს დაიტევს

14.02.2016.

ნალკოტების სიმწვანემ უდაბნოში შეცურა
(მინა ყოველის დედაა, მინა ყოველს დაიტევს)
გარდაიქმნა ნიადად ქარიშხალი მხეცური,
ვენახს ხატავს ვან გოგი, გოგენი კი – ტაიტელს.

გემი: ტრიუმს კაპიტნის შეყვირება ბზარავდა
(ყვირილს იგებს აქ ყური, განაზებას არ იგებს)
ზღვა ამოიღრიალებს და ბურუსის კარავთან
მიმოაბნევს ნეპტუნის დაკარგულთა თარიღებს.

მაგრამ რა დროს ეს არის?... მეფიქრება ამაზე:
უკვე მარადიული გრძნობის ქსელში გავები,
ღრმა და ნამდვილ სიყვარულს შექმნის ვერც სილამაზე,
ქმნიან ნამდვილ სიყვარულს მხოლოდ მონოგამები.

ემმაკადაყლაკული

26.11.2015.

ემმაკადაყლაკული მსხვერპლი გავხდი კოლიტის!
ვწვლობ, დავხტი, ვმოძრაობ უღმერთოდ და ანთება
მაფრინდება ნერვების, მოვიპოვე ბრძოლით ის
უნდობლობის სიცივე, ვერცხლში რომ ილანდება.

მინდა შუქზე გამოსვლა, მაგრამ სადღაც მიმათრევს
კიდობანი უძირო, დაძონძილი აფრებით,
ვეჭიდები როგორც ხავსს, მოტივტივე იმ აფრებს,
პოეტები რაზეც ვწერთ, ვწვებით და ვიზაფრებით!

გაოფლილი დავიკბენ მოძაგდაგე ამ ბაგეს,
მილურჯდება სხეული და კრუნჩხვებში ვვარდები!
შევიშლები: სარკეში ანარეკლი ძაგდაგებს...
ირგვლივ ისმის ტაშისკვრა. ეშვებიან ფარდები.

ჩემი რეპერტუარი

07.08.2008.

ვზივართ ჩემი და და მე (არასოდეს მყოლია)
მოჩანს გემი და ღამე, ზღვა და თეთრი თოლია.

„ნუ ტირიხარ, ნუ, დაო! რომ მივდივარ, მერე რა,
ნუხელ ვნახე უდაოდ, ვნახე სხვა ეფემერა!

მისმენ დაო?“ „ჰო, გისმენ...“ „ნუხელ ვნახე ცის მარში,
მელირსება ოდესმე ასეთი ცა სიზმარში?“

„მერე ძმაო? მერე რა?“ „ხედავ ზღვაზე შუქურას?
არასოდეს მეჯერა, სულ რომ გადაუხურავს

ცა, ზღაპრული ტოტივით, მცველი გვყავს მე და მინას
– ვიყო ყოფის მოტივით; ის მე მაიც დამიცავს!“

მე მენერა სალამოს ფიცი-მტკიცის უარი,
დარდი დაუსაბამო და მზის რეპერტუარი.

სამონარქო ძილი

20.03.2015.

რადგან ყოველ დაღამებას ნასიზმრალი მზით ველი
და მელიან უდაბნოთა მიღმა თვითონ მუხები,
არ გავხდები დაკორტნილი მკერდით ლოდის მზიდველი,
ჩემთან რჩება სამონარქო ძილი ხელშეუხები.

ფანჯრის მიღმა გნიასს მოყვა ბაყაყების კონცერტი,
ადამის ტვინს ეუფლება კუდიანი მდედრი და
შენ არ იცი, ჩემო სარკვე, რა ჯანდაბას მოგცემდი,
რომ პოეტის გამოხედვის გამერიყე ხვედრიდან!

აღდგენილის სიმღერა

30.03.2016.

ფრთებგაშლილი მიხტოდა მოღზე გოგო ციციქნა,
 უკან ნიავს მისდევდა და უყეფდა ლეკვი,
 იქვე კრავმა იხტუნა და ბალახი წინკნა
 და ტაძრიდან გაისმა ხმა ზარების რეკვის.

სადღაც ლოცვაც გაისმა! ვკვნეტ ფოლადის ბადეს,
 ვდგები, როგორც ლაზარე და მღვიმეში შედის
 აღდგენილის სიმღერა! ეს ჩემს სულში ბადებს
 სიხალისეს სუნთქვის და მორჩილებას ბედის.

მინდა, ბნელი დავლენო და ჭიშკრები ვალო!
 ირგვლივ თავისუფლდება ყოველი და ყველა,
 მე მოგივლი, აქამდე მოუვლელი ბალო,
 რადგან გამიადვილდეს ჩემი სულის შველა.

ჰორიზონტის ნანა

06.12.2015.

ვხედავ, თითქოს კლდეები ხიშტებოვით დგანან,
 წყარომ წაურაკრაკა თეთრ ჰორიზონტს ნანა.

ცეკვავს კვამლი: ტყეებმა ყალიონი წიეს,
 აყვავების დრო უდგათ იარებში იებს.

შუქმა გამოქვაბულში შეაღწია, მზისამ,
 იმას, რაც ჩავიდინე, აღარასდროს ვიზამ:

ადრე ისე მინდოდა, წარმომექმნა ტბები,
 მლაშე და თან მდულარე... მაგრამ ველარ ვთბები

აქ და საგალობლები მუდამ მინდა, ვწერო,
დაფრინავდეს ქვეყანა, როგორც ცაში წერო,

ნანწავივით ფესვები ჩახლართვით მუხებს,
აკაკუნებს ბოროტი, მაგრამ კარს არ უღებს

კარისკაცი მოხუცი, ზარმაცი და ბრძენი,
სადაც მესმის სიმღერა, იქვე მხვდება გენი,

გენი სტუმრის მიღების, გენი თავის დახრის,
ალარ მინდა დანახვა მახვილის და სახრის!

მინდა, მხოლოდ, ვიცოდე, ჩემთან მოვა როდის
– სიტყვა ღმერთის – რაც მხოლოდ სიზმრებში თუ მოდის...

ვეგებები ალიონს

06.01.2012.

(სალომეს)

ვეგებები ალიონს, გამოვდივარ გარეთ,
რომ ვისუნთქო ჰაერი, მსუბუქი და წმინდა,
სიყვარულო, მტრედევით ცაში ინარნარე,
რადგან სულში არ ჩანდეს მომავალი ბინდად.

მინდა, მარად გეფერო, გეალერსო მარად,
განვიცადო სურნელი, შენი მზერის ჯადო,
მინდა, ჩემი სიცოცხლე აგეფაროს ფარად,
თუმცა არ ვარ მხატვარი, მინდა, მუდამ გხატო.

მზე მოგართვა საუზმედ, მთვარე მოგცე ვახშმად,
ვარსკვლავები – სანთლებად და ღრუბლები მდელოდ,
დილ-დილობით მოგიძღვნა ყვავილების თავსხმა
და კოშკები აგიგო ჩემი სულის მხსნელო!

მღუმარების დღიგორი

08.05.2016.

მარტოობა დამაცალეთ! მომიკითხავს ნურავინ,
ნუ ხმაურობს ეს ქვეყანა, ქაოსს ველარ ვიტან...
მე მახურავს მძიმე ფიქრის შავი თავსაბურავი
და დაცინვა მესმის მუდამ მოღრიალე ციდან.

ბევრი ფერი გამოვძერწე უსინათლო შავიდან,
მე დამტოვა ყველაფერმა, არ დამტოვა კრახმა...
ის დამყვება ყველგან უხმოდ, სამარეშიც ჩავიტან,
სადაც სულის სიმფონიაც კვირტობაში გახმა.

სულ მაკრავენ ჯვარზე თითქოს,
სული წვალობს, ვიშლები,
ველარაფერს ვხედავ ნათლად, ჩამოვშორდი მთავარ,
ამქვეყნიურ, ნათელ გრძნობებს,
დამრჩნენ მხოლოდ ნისლები,
რადგან მივხვდე საბოლოოდ, რომ უსახო ბრმა ვარ.

შავის ხედვის გისოსებში მისახლდება ურჩხული,
კიდურები ხტიან ავად, როგორც გველის ენა,
ვილაც ქმინავს და ბუჩქებში კივის გადაკრუნჩხული,
დამსკდარ კლდეებს ეხეთქება შხამი ფენა-ფენა.

შემოლიანდაგდებიან ჩემში ხმები ნატანჯი
და ხრიალით ვიკლაკნები, ყელში ხტუნავს თითქოს
ეკლიანი რკინის ბურთი და მდულარე მადანში
მეც ვპოულობ ჩემში მყოფი მღუმარების დიდგორს.

საახალწლო

02.01.2016.

თოვს... თოვლისფრად ნათდება ღამის ეზოები და
თეთრად ხვდება თეთრ ხიდზე მგზავრი ციდან ფანტელს,
ყინვა ჩამოსრიალდა მთვარის თეძოებიდან
და მომინდა, ღამეში გზებიც თეთრად ჩანდეს.

ძგერს ყოველი: ძგერს მზერაც, ხმაც და გულშიც ძგერს ალი,
მიმოხტიან ხელები, ქრება შავი ბადე,
ერთ ფანტელში ეტევა ლოლოების ვერსალი,
მე კი თითქოს მეორედ ახლა დავიბადე.

ჭრელი ფეიერვერკი გაიშალა და ქუჩებს
თეთრმა ხვედრმა შეხედა, თოვლში სხედან ხმები,
თითქოს ფერმკრთალ ქუთაისს ვერაფერი აყურებს
და მეც, ქალაქს ხმაურში მუდამ ვეთანხმები.

ჰორიზონტის ფერებში სიქათქათემ იმატა,
მტრედისფრდება რიჟრაჟი და აღარსად ბნელა,
მონკრიალებს ვარსკვლავი ციდან თორმეტქიმა და
წყდება მოუსვენარი განთიადის ხველა.

მალლა ამატყორცნინა პლანეტების რეისმა
თვალეები და ხელები, სიზმრები და მზერა,
ყველა დროის მუსიკა გულში ლოცვად შეისმა,
აღარც დაუძინარი მწუხარების მჯერა!

აღარ მჯერა არაფრის, რასაც ღამე ქვია და
რაც მანვალებს, რაც მტანჯავს, მალონებს და დამდევს,
მაგრამ საგანთიადო ლექსი ამეკვიატა
და ვეხვევი თეთრი და რუხი დილის ტანდემს.

პალსი

24.05.2016.

იმას შევნატრი სულ და იმასთან ყოფნას ველი,
 ვისაც არასდროს ძულდა სიცოცხლის სუნთქვა ძნელი,
 ვინც არ მოითხოვს შეველას, როცა ცრემლები თან სდევს,
 ვინც უფრთხილდება ყველა ადამიანის განცდებს,
 ყოველი უყვარს, ვისაც სულის მხედარი ქვია,
 ვინც მიაღწია მიზანს, ყოველთვის, გზაზე ქვიან,
 შერიგებების ძაფი ვისაც ეკუთვნის კაცთა,
 მხოლოდ გონების ჯაფით ვინც დედამიწას გაცდა,
 თავზე დაყურებს მშვიდი ცხოვრების მაღალ პიკებს,
 ტბის ზედაპირზე მიდის და გაუგებარს გვიგებს,
 ვისშიც ღიმილი არის ტირილი ვაზის ნვენის,
 ვისშიც ნიაფობს ქარიც, ვისაც ნალველიც შევენის,
 არის ლომებთან ლომი, დასცინის თავის წარსულს,
 ტკბება უფსკრულთან დგომით და გადახტომა არ სურს,
 მზისა და მთვარის ვალსი ვისაც ღმერთამდე უყვარს,
 ცრემლი უბრწყინავს თვალზე,
 გრძნობებს რომ გასცემს უხვად,
 გულთამპყრობელი ქვია, მაგრამ არ ეძებს სახელს,
 ვისშიც ადრე, თუ გვიან, მარადისობა ნახეს,
 ვინც უარი თქვა, სოფლის ძლიერნი ამკოს ქებით,
 ვისი სისხლით და ოფლით დაცემულებიც ვდგებით,
 ვისაც შევნატრით მუდამ, ვისაც ვინწევთ და ველით...
 მტრობა იტვირთოს ცუდამ, ჩვენ კი – მშვიდობის რთველი.

ბანძთა შარი

28.05.2016.

მთელი ცხოვრება მკლავდა მარტო დარჩენის განცდა,
 ვდუმდი აღმართულ მკლავთან,
 ვგრძნობდი ცხოვრების განძთა

უარს... და ისევ ველი უგანთიადო ღამეს,
 თითქოს სხეული, ხმელი, ხილის ხილვებმა ჭამეს.

მე ვიძირები ერთად უმწუხრისფერეს ქაფთან,
 სადღაც იელვა ფერთა პალიტრამ, როგორც ბაფთამ.

გავურბი უძღებ თხათა გიდობის ნაგებ მახეს,
 მე იქ ვერავინ მხატა, მე იქ ვერასდროს მნახეს.

ვანგრიე გველთა ბუდე, კუპრის ტბა შევსვა, უნდა,
 ხორცი იმიტომ ვზღუდე, მეტი ნათელი მსურდა.

შემომეტმასნა თავზე სალტე სიკვდილის, მაგრამ
 ისევ მირაჟებს ვავსებ, ისევ არყოფნას ვჩაგრავ.

კმარა ეს ბოდვა! მეყო! ვისლა აღელვებს ეს ხმა?
 უნდა დაგლეჭო მეხო, რომ შემინიროს ლექსმა!

მისტვის ყველაფერს ვიზამ! წყევლაც მის გამო მეცა,
 რომ მკვიდრმა მღვრიე ტბისამ, მასში ვიხილო ზეცა.

ვინც მე გამლექსა

22.06.2006.

ვინც მე გამლექსა, ვინც მაქცია დარდის მღეჭველად,
 სიკვდილის შემდეგ ვინც სიცოცხლე მომცა ლახვარად
 და ვინც სიკვდილი სიცოცხლეში მიუეჭველა,
 მხოლოდ ერთ ქალს ვცნობ, სიყვარულით ცას რომ ამღვარა!

ირეალური ხმები

25.02.2016.

შემოაღწია ზღვიდან მღვრიე ტალღების დრეკამ,
მე აუტანელს ვიტან და უხილავ ზარს ვრეკავ.

ვერაფერს მიზამ მეხო გაბრაზებული ზეცის!
ძილი არასდროს მეყო, იმიტომ მიყვარს მეც ის.

გადამეჩვია ქამა, მძულს დედამინის ძვლები!
შავდება ფერთა გამა და შიგ ქურღივით ვძვრები.

გაიშლივინა ტახმა, ირეალური ხმებით...
არსობის პური გახმა, მე და ის ერთად ვხმებით!

მხოლოდ სიცრუე ვჭამე, ძლიერ მშოიდა როცა,
შემოფერმკრთალდა ღამე და უძილობა ლოცა.

მთელი ცხოვრება მყინა ნაძალადევმა დაღმა,
ძარღვში დამდნარი რკინა ჩაედინება დაღმა.

ჰაერი უნდა ვზოგო, რადგან არ მყოფნის, არა!
ქუჩაში დადის გოგო, მტვრიანი, როგორც შარა...

მე ვის რა უნდა ვარგო? ბოსფორში ისევ მოდის
გადამთიელთა „არგო“ — მქონე მტაცებლის კოდის.

გადამეკარგა მხარე, განათებული, უხვი,
სულში ნიჩბებით ვყარე სამგლოვიარო მწუხრი.

დამიშრა წყარო და ტბა... ჩემთან ინვიმებს როდის?
მკათათვესავით გათბა თრობისას სისხლი ლოთის.

მხოლოდ გრძელ ღამეს შევრჩი თანამესუფრედ ბოლოს,
რომ ნადირების ტევრში გამიტყუოს და მქოლოს!...

ლექსი ხმალივით ვიძრე! როგორც არ უნდა ვევნო,
ვარ და ვიქნები, ვიდრე მოგაგონდებით, ჩემნო.

ელადა

15.10.2015.

ღმერთები ზეღენ თიხებს, გამოსაძერწად კაცთა,
ცხვირნინ ცერბერი მიყეფს: ისარი მიზანს აცდა.

ქირქილებს ვინმე გონჯი მომოსი, როგორც ვირთხა,
ჰერას რძე მოაქვს ხონჩით, ნეპტუნმა რაღაც მკითხა.

კვლავ ავირიე დროში ტყეთა ნიმფების და მე
გამომეკიდა ქოში, მიღრენდა ბერნი ღამე.

ზღვას ფერი ქონდა ყვავის, აუკაცურებს სოფელს
ზევსი და რაც კი ყვავის, ირგვლივ ყვავისფერს მოფენს.

ახ, შეიშალა ეშმა... სად არ იარა მხოლოდ
მკვდარი სურვილის ლეშმა, რომ ჰორიზონტი ვქოლოთ.

ცა ვერ აშინებს ქვებით მას, ვისაც ნისლის ჯერა
და გაუგონარს ვყვებით, რომ გავამართლოთ წერა

ბედის... ვიცანი ნისლის ამქვეყნიური რიდე,
თმებს ცისარტყელა იშლის, მე გულში რკინა ვზიდე,

რომ მოვიპოვო მეხთა გაავებული სახე,
სადაც სიგიჟე შეხტა და მიტოვება ვნახე.

მეგობარი სარკე

28.12.2015.

სხივო, საითკენ გარბი, რატომ დატოვე ეზო?
მინდა, ეზოში ჭარბი შენი ტალღები თესო.

ეს რა მაგია ქენი, რატომ ჩამარტყი დეზი?
კოცნა მაკლია შენი, ჩემსკენ აიღე გეზი.

სინათლის პური მინდა, მინდა სინათლის ღვინო,
რომ გაზაფხული შინ და გარეთ თანაბრად ვფინო

ღამეს გავხადო ძაძა, გარს რომ მარტყია დაღად,
მხიარულ პოეტს ვბაძავ, რომელიც ლექსში ნახატ

ფილმს დებს და მისი ჯერა... შენ ლექსის ნერგი დარგე...
ლექსია ჩემი კერა და მეგობარი სარკე.

ჩვენი ახალი ერა

18.07.2007.

უდაბნო, ქარი, გვალვა, რკალვა თვალების კუპრის,
სამუმს ვერც შველის მალვა, როცა სიშავე უქრის.

სუფრის სიჭრელე, ვარდი, დარდი ვერ აძლობს ჩანგალს,
ბარდნის ქროლება მარდი და ვერ გავუბი კანკალს.

თუკი გენვევა მუზა, ღუზა სადღაა შენი?
შენს ლურჯ ტბებს რაღას უზამ, თუ მელანია ბრძენი?

უცნობი ცეცხლის ალო, მოდის შენს სულში ქურდი,
როდემდე უნდა მალო, რომ შენს მომავალს სურდი?

რადგან პატარა კახმა დაცალა სავსე თასი,
იმიტომ აღარ გახმა ჩვენი სიცოცხლის არსი.

რა არის ჩემი ლანდი, მსჯავრი წყეული ბედის,
შენს ხმაში რატომ ჩანდი ბოლო სიმღერად გედის?

მოდი, იხუვლე მტკვარო, წყაროვ, იფრინე ცაში,
სადა ხარ ჩემო ქნარო, სადაა შენი რაში?

მესმის სიცილი ზეცის, ხან ალთას და ხან ბალთას,
იერი ჩემი, მხეცის, სიზმარს მიღვიძებს ათასს.

ცაში მაფრენენ ფრთები, მე და მზეს გვქვია და-ძმა,
ვულკანო, რატომ კრთები, თუ ცაში ამღვრის მაგმა?

სუნთქვაა ჩემი ტრავმა, ამ დედამინის ხნისა,
ვერ დამიმალა ავმა იმედი ჩვენი ხსნისა.

მზეს ისვრის, შუქის მქარგავს, ჩვენი ახალი ერა,
დღეს დილა ღამეს არ გავს, არც დუმილს – გულის ძგერა.

ვემეგობრები მთვარეს, მთვარეა ჩემი სტიგმა,
არ ვებრძვი სულის თარეშს ჩემი იარის მიღმა.

მოჩანს ეული პალმა, უდაბნო, გვალვა, ქარი,
ეს რა ღვთაების ძალმა გვიბოძა რკინის ფარი?

ჩემი ცხოვრება

10.12.2006.

მხოლოდ ლექსშია ჩასახული ჩემი ცხოვრება,
ეს ხომ ზამთრისთვის სხივმისჯილი, მძლავრი ჟინია!
დღეს ჩემს სურვილებს გაზაფხული ეცისკროვნება,
მეც მეცხოვრება და სიკვდილის არ მეშინია.

ჩრდილის ჩრდილში

19.09.2015.

ერთვის მეტალის ღრიჭინს მეხი და გრიგალს ვუცდი,
ჩრდილის ჩრდილში დგას ბიჭი, მარტოსული და სუსტი.

მხნე მცველებივით დგანან ირგვლივ ბებერი ჯვრები,
ლვივის ზღარბების ყანა და ჭაობები ვძვრები.

მიყურებს ძეგლის ქვრივი, ვარ გამოხედვის ქურდი,
თანამეცხედრედ მკვრივი სამყაროს მტვრევას ვსურდი.

ავად მომხტარი მკოცნის არარსებული ბაგე,
მე კი, იღბალის მგოსნის, წამახულ სარზე ვაგე.

მემსხვრევა თავზე თარო, მერევა ცრემლი გველის...
მხოლოდ ის უნდა ვღვარო, რაც ჩემს თვალებში მელის

უზარმაზარი დარბაზი

05.11.2015.

უზარმაზარი დარბაზი. ჩრდილი მოძრაობს რუხი,
ჩემი სხეული ბარბაცებს, ვხედავ მაგიდას მუხის.

მაგიდა, მხოლოდ მაგიდა, არსად გამოჩნდა სკამი!...
ქრის კვამლი სარკოფაგიდან, ბრმები სპექტაკლებს დგამენ.

როკავენ ბლენძი მონსტრები, ვილაც კომიქსებს სტამბავს
და აცხობს ენამოსწრებულ, საშიშ და მოკლე ამბავს.

შეხედე! ირგვლივ ანათებს უხვი აურა კლიმტის,
კედელი ბოლმის ბარათებს მესვრის და სული მიმდის.

ჩრდილმა გაქცევა ინატრა, მაგრამ შეჩერდა უცებ:
თითქოს მღეროდა სინატრა – ასე უხმობდა მუზებს.

უნდა გავგიჟდე ხვალღამით, დღეს თუ ცოცხალი დავრჩი,
უნდა ჩავახრჩო ბალღამი მღუღარე ქვების ჯავრში!

დედა ვატირე!

05.03.2016.

მინდა, იმ ლანდებს ვემგვანო, რომლებიც სიღრმეს თესავენ,
ვერ მოვიქცევი რეგენი სინათლის ფარვანასავით.

ვიქნები, თუნდაც მყეფარი, ოლონდ, სიავეს ვუშველო,
ნიღბებს რომ არ აეფარონ პროპაგანდები უშვილო.

როგორ ვიცხოვრო სარდაფში? მინდა, ყოველთვის
ვვარგოდე,
ველარ იმგზავრებს ზარდახშა ძირგამომპალი „არგოთი.“

კლდიდან ვარდება სურათი უდაბნოებში მენამულ,
ყოველთვის უნდა ვცურავდე ლექსებში, თუნდაც, მანამონ.

ბინძურმა შუქმა იმატა კვერცხში და ტირის სატირა...
უცულოდ გვჩეხენ, ამათი ორსქესა დედა ვატირე!

თეთრი დროშა

28.12.2015.

ავაფრიალე თეთრი დროშა! დამჩეხეთ, დაე,
ენით დამჩეხეთ, არ მალეღვებს, არ მაქვს სიტყვები!
მე თქვენ კი არა, კუნძზე კისერს დაფუდებ კანს,
მე თქვენ კი არა, სასიკვდილოდ ჯალათს მიყვები.

მე ვუშვებ ჩიტებს, გამოვალე ყველა გალია,
მინდა, გაფრინდნენ სიტყვებივით ცაში ჩიტები,
ჩემი დუმილი მღვიმესავით იდუმალია
და ასე ჩუმი, ქარიშხლებით დავიჩხვლიტები.

4. ზ. მეფარე

მიჯნურის სიმღერა 28.11.2011.

(სალომეს)

მე ტყვე ვარ ერთი არსების,
 მსხვერპლი ვარ ერთი ქალისა,
 დღისით და ღამით არ მტოვებს
 და მიმზერს, ვით მონა ღიზა,

მინდა, რომ მისთვის მიწვედეს
 სიყვარულის და ჯვრის ზიდვა,
 მისთვის მოკვდები, აღვდგები,
 მისთვის ვიცოცხლებ, მისით ვარ,

ჩემი კალამი სტრიქონებს
 თურმე, სულ მისთვის წონიდა,
 მისთვის ჩამოვკრეფ ვარსკვლავებს
 უღრუბლო კაბადონიდან,

ღმერთს ვევედრები, მაცოცხლოს,
 მხოლოდ მისთვის და მის გვერდით,
 თვალეზო, ბნელში უმისოდ
 სარკიდან როგორ მიცქერდით?...

მუდამ იბრძოლე ზვიად და
 მუდამ იღვანე კალამო,
 დიდხანს იცოცხლე ძვირფასო,
 ეს შენ ხარ ჩემი მალამო!

ქუ ეშმაკი საყურათი 02.11.2015.

მომელანდა ქუ ეშმაკი საყურეთი,
 პოდიუმზე რხევით ინვევს რაინდს...
 არ გვიჭირავს ხელში ქვა და ტაბურეტი,
 სიყვარულით გავიმარჯვებთ მაინც.

ურდულავი

21.03.2016.

რაც უფრო დავმალე სახე, მით უფრო ხმამაღლა ვჟღერდი, მიზნები რაც უფრო ვსახე, მით უფრო იცინის ღმერთი.

შავბნელ დერეფნებში დავალ და კარს მოჩვენება მიღებს, გვიან ვაგონდები მრავალ ნელთა უსიცილო რიგებს.

მინა გაანათა მეხმა, გედიც აღარ მოჩანს ტბაზე, კლდეში ნაკადული შეხმა, გულის ურდულეებიც ვრაზე.

ტყეში ბუტბუტებდა ტროლი, მტრედი შორს გაურბის ყორანს, მინვეს ყინულების სროლა, მინდვრებს გეიზერი ტბორავს.

ასხამს შადრევნების ჭავლი, ვნახე უბედურთა სენი...
ვიცი, რომ მოვედი გავლით, მინავ, სტუმარი ვარ შენი.

ყველგანყოფი სენი

20.11.2015.

მინაში ნერგივით დარგეს მკვდრებმა ყველგანყოფი სენი. აღარ ვიშველიებ მარკესს: ჩირადაც არ მიღირს გენი.

მკერდში დაფლეთილი იყო ლოდი... უწოდებენ ნაგლეჯს... დაიხა როსკიპის ტრიკო და ქვაზე იღბალი დაკლეს.

სხეულზე დაცოცავს მახრა, ვეძებ ქვენარმავლის ღრუში მას, რაც ცრუ იმედმა დახრა, მლოკავდა ჰაერი მრუში.

ვილაც ხელგანვდილი იღებს ბედს და ვილაც ღიმილს მპარავს, ჯურღმულში ვანჯღრევდი ჯიღებს და ვშლიდი გაკვამლულ კარავს.

ასე უმოწყალოდ დახმა ვაშლები დასიცხულ ცაზე...
დამარტყა ნერვების კრახმა და ცივად მიმაგდო ასე.

ცრემლის სასახლეში

11.12.2015.

ვხედავ ქუჩის გუბეს, ღრმას და უგიგანტესს,
იგი ტბას გავს, იგი ჩანს და იგი არ ჩანს,
მინდა, სადაც გზას მივიკვლევ, შუქი ჩანდეს,
თორემ უკვე ამ ცხოვრების ვკარგავ მარჯანს...

ვმართავ უცხო პალიტრების აუქციონს;
თეთრი, შავი, ლურჯი, მწვანე და ყვითელი,
ყალბ იმედებს რადგან გვერდი აუქციოს
ღმერთმა, ვისაც შენში ერთი ნახვით ელი.

არსად დასდევს ბუზს არასდროს შევარდენი,
მხოლოდ სვავს თუ შეუძლია, ჭამოს ლეში.
ჩემში მოდი, ღმერთო, ჩემში, მე ვარ შენი,
მაპოვნინე თავი ცრემლის სასახლეში.

თვალეებს ვხუჭავ სხვანაირი სიამეთი,
მოდის დილა, გადის ღამე რუხი ლავის,
ირგვლივ ქრება ყორნისფერი ყიამეთი,
პოვნა მსურდა მზის, აქამდე უხილავის.

სხვანაირად მითენდება და უცხოთა
მტკივა ძველი ტკივილებიც უკვე ერთობ...
მკერდში ფეთქვა გულს სიმღერამ დაუნყო და
შენც ჩემთან ხარ, აუხსნელო მუდამ ღმერთო!

კვართაზი

3.11.2015.

აიხადა ღამის ფერი და სამოსი
სანოემბრო... ლანდმა ლანდი გადახია!
მზე ამოდის საალერსო საღამოსი
და თეთრდება, თითქოს მწყემსის ფაფახია.

ქვეყნის დარდი მეცა, რამეს ვწყვეტდე თითქოს...
რალა ახლა შემომიჩნდა, ახლა მეცა!
მე ერთხელაც გავათენებ, ვიცი, დიდგორს
და ჩემს თავზეც განათდება ბნელი ზეცა!...

უსტვენს სივრცე და სიმართლეს მანვდის შიშველს
(მაინც ვიტყვი, თუნდაც, მგლეჯდნენ ნადირები)
საშინელი სცენის ჯაჭვი არსად მიშვებს,
დავეთრევი მუდამ მისი ნატირები...

უცებ, ვხედავ, ცივ წყაროში კვართებიან
წყვილს... ყვინთავენ! მათ მაგივრად სუსხი მტანჯავს!
მზე და სითბო ისე შემიყვარდებიან,
დახმარებას აღარასდროს შევთხოვ ხანჯალს.

მე ვახელ თვალეზს

18.01.2016.

მე ვახელ თვალეზს... რაც აღვდექი, დღეა მესამე,
რომ სააქაო დავთმო სამარე,
კმარა, რაც ქვეყნად სიმართლისთვის ვთქვი და ვენამე,
მე ცაში უნდა შევკრა კამარა!
არტიერიაში დაიქუხებს ლექსი თოფივით
და უდაბნოში შექმნის ნალექსაც...
ჩვენ ვიცი: როგორც არ არსებობს ღმერთი ყოფილი,
ასევე, ვერსად ვნახავთ ნალექსარს.

სტრიქონების ვენახი 31.10.2015.

ვერ იხილავს დამშეული მონა დირეს,
 სიბრმავისას ქისის ხილვა თუ მომასწრო,
 მუდამ მოსწონს ვერცხლზე ხარბად მონადირეს
 „ღვთისმსახური,“ უღმერთო და უმონასტრო.

ეზო. ბრწყინავს ლაპლაპა და ცივი ტბორი,
 ირგვლივ შავი, ნებოვანი ნაძვებია,
 უდაბნოში შარიშურობს მშვილდი შორი,
 ბალის ჭიშკარს ყრუ-მუნჯები აწვებიან:

არ ეტევა მოწამლული ხალხი გარეთ,
 მე კი ვბორგავ – ჩემი სულიც ავად არი...
 მძაფრი ხვენწით თუ მეეტლე არ ვაჩქარეთ,
 მალე მალლა გრიგალივით ავა დარი.

არ ვუსურვებ არასოდეს მიწას წითელს,
 უწყლოს, გულგრილს, მშრალს, შერცხვენილს და უგმიროს,
 ყველგან ჩემი ანარეკლი! მუდამ მიტევეს,
 რომ თავს ბნელი სურვილები გაუგმიროს.

მე ლექსებზე ჩემი მწველი ვყიდე ალი,
 კვლავ მჭირდება უჩარჩოო რწმენა ხიდად,
 და ბოჰემის პოეტური იდეალი
 დაიკრიფოს სტრიქონების ვენახიდან.

თეთრი ქაღანი 20.10.2015.

საიქიომშვიდობისა სულო ჩემო!
 მოსაწყენი სიბნელეა... როგორ ცხელა!
 მიწას ვკოცნე, მაქვს ტუჩებზე მისი გემო,
 ყველგან ისმის უხილავი, ხშირი ხველა,
 საიქიომშვიდობისა სულო ჩემო.

აქ არ მომწონს... გაფრენილან იმედები,
 შორიასხლოს ტრიალებენ და მღერიან,
 მარტოობის გრილ გალავანს მივედები,
 სულში თითქოს რიყის ქვების ნამქერია...
 აქ არ მომწონს... გაფრენილან იმედები.

რა ვუშველო ჩემს თავს? მინდა შუქის წყარო,
 ღამე ჩემი ერთადერთი საბანია,
 კომმარები აქეთ-იქეთ მინდა, ვყარო,
 მაგრამ ჩემი თავი აღარ მაბარია...
 რა ვუშველო ჩემს თავს? მინდა შუქის წყარო.

მოჩანს ნავი, უსუსური მენავეთი,
 მზეს ვერ ვხედავ, სივრცეებიც დახოცილან,
 ვწუხვარ, მაღლა აქამდე რომ ვერ ავედი,
 ასე არ მსურს!... მაღე უნდა ვნახო დილა,
 მოჩანს ნავი, უსუსური მენავეთი.

მუქდებიან იისფერი ნახატები,
 აღარ მჯერა უანგარო ყოფის, მაგრამ
 მწამს, ტერენტიმ კიდევ ერთხელ ნახა დები,
 მწამს, წყვდიადის ჰორიზონტებს ძილში ვჩაგრავ.
 მუქდებიან იისფერი ნახატები.

ეს იმედი, თითქოს, თეთრი ქედანია,
 ყორნები კი დაფრინავენ ყველგან უხვად,
 ირგვლივ ყველამ ნახეთ ჩემი მეტანია
 და თუ რამე განყენინეთ, ვწუხვარ, ვწუხვარ...
 ეს იმედი, თითქოს, თეთრი ქედანია.

ფერადი ველი

13.07.2014.

(სალომეს)

მინდორში ხარ, ყვავილების გინდა ქსოვა,
 ნევხარ მწვანე სამყოფელში, ფერად ველზე,
 ის, წარსულში რაც წავიდა, აღარ მოვა,
 აღარასდროს დამშორდება ჩემი მე მზე,

ქრის ნიავი, მშვიდი, როგორც მონაზონი,
 გვასულდგმულებს მხოლოდ ჩვენი მონაგონი.

მზე ავიდა მაღლა, აღარც აისია,
 შეილება ლურჯად არე და სურათი,
 შავი ფიქრიც თეთრ ღრუბლებში აინია,
 თვალის ხარობს საკრალური საკურათი,

მიცქერ, ქრება ამ ცხოვრების შავი ხედი,
 თვალი რაა, მე შენს სულში ჩავიხედე...
 ის იმედი, იქ რომ ჩაქრა, აქ ანათებს,
 რაც მეძახის, მხოლოდ შენი ბაგენია,

ნუ უგებენ ფრინველს რკინის კაკანათებს,
 ფრინველს უნდა მხოლოდ სითბო და შენია...

მე წარსულში განვიცადე სულის ძარცვა,
 ახლა ღმერთი თესავს ჩვენში პურის მარცვალს.

დიდხანს ვიფიქრე

31.07.2015.

(სალომეს)

დიდხანს ვიფიქრე, სულ ერთი სიტყვით
 ცხოვრებას როგორ ვეგრიგალო მე?
 და მივხვდი, მუდამ ხმამაღლა ვიტყვი
 თავანუელი ყველგან: „სალომე!

დავნილი

17.06.2009.

მზეს დავეძებ... ფლეიტის ხმა მომდევს. მზეო!
 ლამით არ ხარ, მაგრამ დღისით არ ხარ რატომ?
 გინდა, თეთრად ის ბარათი აბარათო,
 სულ რომელიც მიდგას თვალწინ... ვარ უმწეო.

ქვეყნის გარეთ გარიყული მე ვარ... არა!
 ჩანს რიკული, „არას“ ამბობს მკვდარი გული,
 ვარ ერთისგან? ვარ ქვეყნისგან გარიყული,
 აღარ ძალმიძს ვიყო ბრძენი, აღარ, კმარა!

მითხარ „არა...“ წამიკითხე მე ტროპარი,
 წმინდა არის ეს უარი და ანკარა,
 დარჩენილი ვიყო თავის ანაბარად,
 მარტოობა იყოს ჩემი მეგობარი!

გვერდით ისევ სიჩუმეა და მსახური
 ამ დუმილის – მარტოობა არის ისევ,
 შენ შორს ხარ და ამით ჯალათ აფთრებს მისევ
 და სულს მიხრავს ისევ ტანჯვა უსახური.

ვხედავ საფლავს... მახლავს ფიქრთა ცადა ამაღლა,
 ვხედავ თვალებს... ეს თვალეები შეშლის ეშმაკს,
 ვნატრობ, „ამო მალლა ზვიად“ – შემომესმას,
 მაგრამ ჩემმა ბედმა თავი გადამალა.

მზე სად არის? ვეძებ, მომდევს ფლეიტის ხმა,
 მე – დევნილი უიმედოდ ვითვლი წამებს,
 რაც მიყვარდნენ, იმ ფიქრებმა არ მიწამეს
 და შემშალა დავინწყების მწარე ზიზღმა.

მე და ლანდი

7.11.2015.

ქუჩაში უსტუმროდ დგანან ჯიხურები,
როგორც განდეგილთა პანია სახლები,
ხილული სამყაროს მიღმა ვიყურები,
წალკოტს სასეირნოდ ცაში ვეახლები.

რადგან სულ მწყურია ხილვა მაცხოვრისა,
რადგან სულის კედლებს ხუთავენ ხედები,
რადგან სააქაო არ მაქვს საცხოვრისად,
რადგან უბინაოდ სულ დავეხეტები,

მე საშველს დავეძებ... ვაწყდები პაიკებს
და გზას მიღობავენ ისინი ხიშტებით...
ვდგავართ მე და ლანდი (ვერაგინ გაიგებს)
უაზროდ ვხარხარებთ, ვჩხუბობთ და ვგიჟდებით.

ჩვენი უღელი

16.04.2012.

(სალომეს)

რადგან გაგვაჩინა ღმერთმა პოეტებად,
რადგან ვწერთ, ვკითხულობთ რადგან,
ვიდრე ჩვენს საფლავებს ხავსი მოედებათ,
ჩვენ ღმერთის უღელი გვადგას.

ირგვლივ ბალებია! მე გიძღვნი ამ ბალებს,
რიჟრაჟზე, თუ ღამით გვიან,
ვიდრე შენი სული ჩემს სულს აზამბახებს,
მე შენი პოეტი მექვია.

გიყურებ მიძინარეს... შენ დუმხარ და მღერი,
ვარ მუნჯი მხატვარი ახლა,
შენ თმებში გებნევა ყვავილთა ნამქერი,
ადიხარ მაღლა და მაღლა.

ვიდრე დახავსდება პოეტის საძვალე,
 შენ გეტრფი, შენ გეტრფი მხოლოდ
 და მხოლოდ სიცოცხლის სურვილი მანვალებს,
 ზღვისფერი ღრუბლების ტოლო.

მთვრალი მუზა

07.02.2011.

ახლა მუზა მოვა მდიდარი, ხალასი
 (ამ ქალაქში ერთი გიჟი პოეტია)
 რაც არ ჩაეტია სხვა თავის ქალაში,
 ამ თავის ქალიდან ვერ გამოეტია.

თუკი ცნობადის ხეს ხილი ვერ აბია,
 ბალი, ესე იგი, ყველა ხეპრესია,
 მე ველარ მიშველის ფსიქოთერაპია,
 სხეულში მძვინვარებს მყრალი დეპრესია.

ახლა ნამოვდგები, ჩავიცვამ გამაშებს
 და ისე ვიცეკვებ, თითქოს მიხარია,
 ღიმილსაც გაჩუქებთ, ყალბად მოთამაშეს,
 როცა ჩემს და ღიმილს შორის ტიხარია.

გულში დანთებული ისევ ბუხარია,
 მაგრამ კოცონს უნდა დროით შეკეთება,
 ჩქარა შემაჩერეთ! გულს კი უხარია,
 მაგრამ ლექსის მიღმა ტვინი მეკეტება!

მე და სიმარტოვე

04.11.2015.

გადახსნილ იარად მაჩნია ცხოვრება!
 მე მიინდა გაქცევა, დავეძებ სავანეს,
 დაქრიან ბინდები – სიკვდილის მსტოვრები
 და ვიცი, ბურუსი ხვალ რას დამავალეხს:

მას უნდა სხეულში ჩადგომა ლოდივით!
 ვერ ვეუარები, ვხდები დანასავით.
 არ მიინდა ლოდინი, არ მიინდა ლოდინი!
 ვცდილობ, ანარქიის ფერით და ნაზავით

შევექმნა მყუდროება... მე ვარ უარესი,
 ვიდრე პუბლიკაში მყოფი ორატორი.
 ვბაასობ სარკესთან – „ყელში თუ არ ეცი
 საკუთარ სიბნელეს, ვრჩებით ორად ორი:
 მე და სიმარტოვე.“

გომბეშო

10.05.2007.

მინას ტვირთად აწევს ცოდვა ბარაბასი,
 გულს უკლავს თავისი სიგონჯე გომბეშოს,
 სადღაც სიკვდილს იქით კენესის კონტრაბასი
 და ტირის აისი, სიცოცხლე რომ ლეშობს.

რაა სილამაზე, სინაზე და ვნება,
 თუ მარადისობა არ ახლავს ამ ტრიოს?
 დროზე ადრე მოდის სიკვდილი თავნება
 და სულს აღარ უნდა, სხეული ათრიოს.

თუ ჩემს ცხოვრებაში დრომ ასე ინება,
დაე, ღამის შხამით შესრულდეს ეს ნოტი...
ვინ იცის, რომ დროზე ეს აზვიმება
დემონის შეხება არ გახდეს დესპოტი?

ეს წამი მარტოა

20.02.2007.

წარღვნას მოყოლილი ვეძებდი არარატს,
ენატრობდი ჰორიზონტს ციხეში ნაგდები,
ნაბიჯების ყრუ ხმა მაცლიდა არაქათს...
მარტო დარჩენილ წამს მდუმარედ ვაკვდები.

ციხესიმაგრეში სხივმაც მიმატოვა,
რეალურ პერსონაჟს მწერდნენ არაკები,
შიშველი კედლების ვნახე სიმარტოვე,
მარტო დარჩენილ წამს ველაპარაკები.

დილა გაცოცხლებულ ოცნებებს მიათრევს;
მითის პერსონაჟის ქსელებში გავები,
მჩუქნიდა მნათობი სხივს უიშვიათესს,
მეტყველი სიჩუმის თრთოდნენ იგავები.

ვჩქარობ, ვჩქარობ, რადგან ეს წამი მარტოა,
ხევში ჩაჩეხილმა ვინატრე ანდები,
ბრმა საფეხურები უმისამართოა,
მე მარტო დარჩენილ წამს ვუგვიანდები!

ოპოლი არია

31.07.2008.

სამხრეთით, იქ, სადაც ტალღები არიან,
 როცა სულს სიმშვიდე უნდა,
 მე ფიქრად მეფრქვევა ოპოლი არია,
 ფიქრები მანვანან ხუნდად.
 მე ვფიქრობ წარსულზე, მე ვფიქრობ, თუ რისთვის,
 ან, საით ეს ქარი მიქრის,
 ფიქრებში წილად მხვდა იღბალი ტურისტის,
 მგზავრი ვარ უცნობი ფიქრის.
 მუდამ განაგებენ ცხოვრებას ისინი,
 ფიქრია ცხოვრების კრედო,
 მე მესმის ფიქრებში გველების სისინი...
 სადა ხარ ფიქრების მტრედო?

რელიქვია

24.01.2007.

უცხო სტრიქონებში ფრენდა ილუზია,
 მისი ფრთები ნაზი, უსათნოესია.
 ალბათ, მისთვის ჰანგებს მდევრად მიუცია
 სულში ჩაქარგული, ლურჯი პოეზია.

ნახატს, დამუნჯებულს, მარად მჟღერი ქვია,
 უხვად შემოსილი კრძალვით და დიდებით.
 ცრემლებს მაფრქვევინებს მკაცრი რელიქვია:
 გული და სურათი! ვდგავარ გარინდებით.

ნისლში დაცურავდნენ ოქროს ნაფოტებად
 მკრთალი ფრაგმენტები – ბალის მატიანე,
 წარსულს გამიცოცხლებს ფიცის აბოდება;
 ლამევ, ტკბილი წამი მარად აფრთიანე!

როგორც ტაძარს

30.03.2015.

(სალომეს)

როგორც ტაძარს, ირგვლივ ბევრი გიარე,
 ყველა მხრიდან რომ მენახა სიკარგე,
 გადგას ჩვენი არსებობის ტიარა,
 სამუდამოდ სადაც გადავიკარგე.

გარეთ გველის ორი რაში: შავრაზე
 მე შევჯდები, მხედრად თეთრს შენ ერგები,
 მე სიბნელის გალავანი ჩავრაზე,
 შენ – ცნობადის ბალში დარგე ნერგები:

სიბნელეში რალა უნდა ვაკეთო?
 ჰორიზონტის ყველა ფარდა მეხევა,
 მე მახეებს სივარდისფრე ბაგეთა
 ვდგავარ შენს წინ და ვგრძნობ წუთით – მე ხე ვარ.

ფიქრი და კათხა

27.12.2015.

ისტორიაა ყველაფერი, ისტორია კი
 კვლავ მეორდება, გაღვიძება როგორც ამ დილის,
 შემომმაგონდეს მარტოობის ის ფორიაქი,
 რასაც ამშვიდებს ჩამოგდება თეთრი მანდილის.

ჩაიძინებდეს სული ჩემი, ნეტავ, დროებით,
 მაგრამ არა და არ მეღირსა... ნავიდე სადლა?
 ხანდახან ჩემთან მეგობრობენ მწვანე რტოები,
 ან მკრთალი შუქი, მღუმარება, ფიქრი და კათხა.

მეჩხეთურის მუსხავი 29.08.2013.

ჭრილობიდან ქვეყნის სისხლი მდიოდა,
მინდა, ჩემს მტრებს წყენა ვაპატიო და

რომ დავეუგო მშვიდობის მტრედს „ნოხები“,
რადგან მხოლოდ ბოლმას ვეამბოხები.

მტრედი ჩემი სინათლეა, ჩემი და,
ჩვენ მოვდივართ ერთად ნოეს გემიდან,

თრობის წამი არის ჩემი სამყარო,
ემმაკებიც თრობაში რომ ჩავყარო,

მოვარჯულებ ყველა ბილნს და კუდიანს,
მთვრალი რომ ვარ ახლა, განა ცუდია!

ერთიც ჩავსხდეთ მეჩხეთურის მუხებში,
ღვინო არის ჩემი მზე და ნუგეში.

მის გარეშე ეს ცხოვრება მუქია!
ჩემი ფხიზლად ყოფნა ვის გაუგია?!

ბასაირნება 15.04.2013.

(სალომეს)

ზღვის ტალღები გაფარია საბნებად,
შეიქმენი ძველად ალბათ, მზიდან,
შენ ყვავილი მუდამ გესარაფნება,
შენს სიყვარულს სიკვდილამდე ვზიდავ.

მოგიტანეს ნისლი თეთრმა რაშებმა,
 მეოცნებეს რალა მინდა მეტი?
 შენ ვარსკვლავი ღამით გეთამაშება,
 დილით – გიხმობს ტბის რძისფერი გედი.

თითქოს ხტიან შვლები და ჯეირნები,
 ისე დაქრის ეს ნიავი ცივი,
 მინდა ძილში გრძელი გასეირნება
 და თითების ვარდისფერი ტივი.

ხელი და ვნება 25.02.2016.

ვნება ხელშია! დაე, სხვამ ჩადოს
 ვნება არეულ ძაგძაგში ტანის,
 მე კი სხეულის წერის ვსვამ ჯადოს
 და ქაოსს ველტვი, ტვინში ატანილს.

ერთად მოდიან ხელი და ვნება,
 ერთად იწვიან ვნება და ხელი,
 ვნებამ დაანთოს ცეცხლი თავნება,
 ხელმა დანეროს ქალის სახელი.

ჩემი ცხოვრება ლექსის ჯვარია
 და ზედ ვეკვრები, როგორც იესო,
 რომ საიქიოს ყოფა მთვარიან
 ღამის ღავლაში გავაპიესო!

როცა მოვკვდები, არ მინდა კუბო,
 სამყოფლად ვირჩევ მუხლამდე ორმოს!
 ხელი და ვნება უნდა ვაჩხუბო
 იქ, სადაც ცრემლის მდინარე შტორმობს.

5. ზ. მეფარე

ქარავენები

31.07.2011.

საყვარელო, მომენატრე ძალიან,
 დარდიანი უშენობის გამო ვარ,
 შენი ტყვე ვარ, გამიხსენი გალია,
 გაკოცებ და გალიიდან გამოვალ.

შენს მინდვრებზე იშლებიან ნისლეები,
 შენს ყანებში მძიმე თავთავებია,
 მე ვიბრძვი და სისხლისაგან ვიცლები,
 შენს გარეშე სისხლიც გამთავებია.

ჭკუიდან მშლის შენი ტანი, ხშირი თმა,
 ის მაგიჟებს, მაგრამ ჩემს სულს არ ავენებს...
 მე დამალა შენს ველებზე ჯირითმა,
 გამოყევი ჩემი ფიქრის ქარავენებს!

მწერი

28.07.2011.

ჩემი ფიქრი და ოცნება იქ არის,
 უხილავი სადაც ქრიან ალები,
 პატრონი ვარ დაფლეთილი სტიქარის,
 ასე მწერი გლახაკს შევებრალები.

არ მჭირდება ოქრო-ვერცხლის მიგნება,
 ცოდვის ბალი მომაგონებს უდაბნოს,
 ბედნიერი კაცი როგორ იქნება,
 ბოროტებას ტახტი რომ დაუდაფნოს?

ჩემს მწვერვალზე ბინადრობენ ისინი,
 არ ჭირდება ვისაც უცხო ხეხილი,
 ხან ედემშიც ისმის გველის სისინი,
 ეშმაკს იცავს ხან ორსახა ვექილი.

ყოფის ნაფლეთეუბი 15.12.2015.

როიალის კლავიშებზე დადის
ფეხაკრეფით ჩრდილი შავი კატის.

ნეტავ, ვილას უნდა ვენდო, თუ კრავს
გული მკერდში მგლის ყმუილზე უკრავს?

სამარემდე ჯვარი უნდა ვზიდო,
მხოლოდ ჭიქა ნამიქციეთ, თითო.

არ ვარსებობ, ნუ გეშლებით ბევრში,
მხოლოდ ყოფის ნაფლეთეებსლა შევრჩი.

ან რა იყო ჩემი ყოფა ვითომ?
არ მსურს, ვიყო უბრალოდ და მიტომ!

ხალხმრავლობა მხოლოდ მკლავს და მტანჯავს,
მუდამ ვეძებ მარტოობის ხანჯალს...

სუიციდზე ფიქრი მაინც არ ჭრის:
ვერ მოვხვდები მიღმა ზეცის ფანჯრის...

ეჰ, ასეთი უგუნური დავრჩი
და ჩავსახლდი უმასპინძლო მგზავრში.

ჩემი დღეა ღრმა და ღამე – ბინა,
მაგრამ ისევ დილით ჩამეძინა.

მღუპარე მინეაბი 22.05.2016.

შემოახნია ქარმა ლაბადა
 მთებს და ჩაახმათ მუხებს ფესვები,
 გრიგალმა ცივი სუნთქვა დაბადა
 და უიმედო ხევში ვეშვები.

თვალნინ ვხედავდი მდუმარე მინებს,
 აღარც უძრავი ყოფა მწაღია,
 სადაც დროებით ტივტივი მინევს,
 აღარც ნავი და არარატია.

მემუქრებოდა ჩაძირვით ლავა
 გრძნობის და უარს ვიკადრებ არც მე,
 რომ, როცა ხორცი საფლავეში ჩავა,
 სული მიიღოს სამოთხის არსმა.

ქარის მონაყოლი 17.05.2016.

ყველგან იპოვის ახლა მონა ტოლს...
 ვიქნები ჩემი ჯვარის მეთოფე,
 აღარ ვუჯერებ ქარის მონაყოლს
 და იმედებიც ვერ იმედობენ.

როცა მოვისხი შავი მანტია,
 ცხოვრებამ მძიმე კომბალი მირტყა...
 მტრის სულიც ჩემში ძმობით ანთია,
 თუმცა, დამწვარი გემიდან ვირთხა

გარბის პირველად... კვდება ხომალდი
 და ლამეებმა სისხლი დალიეს
 ჩემი და მაინც ვარ აღდგომამდი
 შეფარებული რუხ დასალიერს.

სიკვდილის შიში

24.04.2016.

სიკვდილის შიში ყველაფერს მართავს
და ამავე დროს იგი შორს არი,
თითქოს, მუდმივად თვალწინ მაქვს მართალ
სიცოცხლის ბოლო ნაანონსარი.

არ მეშინია მაგრამ მე მისი!
რას ვაქნევ ბნელი სახის მიმიკებს?
სიყვარულია ჩემი დევიზი,
მინა შავ გრძნობებს აღარ მირიგებს.

სიკვდილო! მოსვლას დაგეგმავ ვიდრე,
მითხარი: მინდა, გეცეკვო კართან!
შენს დასახვედრად სასმისი ვიძრე
და ქარავნები ვისუნთქე ქართა!

როცა იტყვიან: „ნავიდა ისე,
რომ წასვლის შიში არც კი ქონია,“
მაშინ ვიქნები იმქვეყნად მტკიცე,
რომ მოვკლა ზამთრის ჰეგემონია.

პარანორმალურ სცენებს ვედები,
კოცონმა ჩემი ხედები ლოკა,
ქრებიან მწვანე ბალის ხედები
და მაგონდება მეორე ლოყა,

რომელიც სხვისთვის მეშვირა უნდა,
მაგრამ ვარჩიე, პირველის გამო
ჯავრის ამოყრა!... შემოდის გუნდი
ცეკვით და ვიცი: უნდა ვენამო.

ბაღში ხარ

26.02.2016.

(სალომეს)

ბაღში ხარ, როგორც ყოველთვის. ია
 გიყურებს, როგორც შენი დობილი,
 აქ შენი სუნთქვის ქარები ქრიან,
 შენთან ყვავილთა ფიქრგანდობილი.

იქ შენთან ერთად სიოც მისულა,
 სადაც დაასწრო დილამ პიონებს,
 დღისით არიგებს შუქს ფურისულა,
 ღამით კი მთვარე ილამპიონებს.

ამოელვარდა მზე მიმოზებით
 ანთებულ ბაღში და ისევ დგახარ
 და ელი, როდის შევიმოსებით
 ნათლით და ბნელიც გვისტუმრებს აღარ...

შიშით გამქრალა სადღაც დრო შავი,
 ჯარისკაცივით დამდგარა ხმალა
 და გატაცებით ცეკვავს შროშანი,
 ქარმაც თავისი სიგიჟე მალა.

ბაღის ბოლოში ღელე მივარდა:
 წყალს გადაავლებს მწყურვალ ამ ბაღებს...
 იქვე ყოჩაღად დგას ყოჩივარდა
 და ცის სილურჯე დღეს აზამბახებს.

მედროვეებს

11.02.2016.

ეჰ, რამდენ რამეს მოიცავს ფიქრი,
 ის ყველგან გაშლის გაცრეცილ აფრებს,
 ხან არწივივით ზეცაში მიქრის,
 ხან ბნელ გვირაბში სურვილებს აფრენს.

მტრობა მტრობას შობს, მადლი – სიკეთეს,
 უპასუხოება ძნელია, თანაც,
 სნობებმა ჩემთვის კარი მიკეტეს
 და ქვემძრომები მიყრიან დანას.

ასეთი არის ახლა დროჟამი,
 ვილაც სუფთაა, ვილაც კი – სნობი,
 ზოგნი გალობენ, ზოგნი როშავენ,
 მთელი ჯიგარით, ძალით და გრძნობით.

მე მებრალება მონა დროისა,
 დროს კაცნი ქმნიან, არა მონანი!
 მაგრამ მედროვევ, ცოტა მოიცა,
 შენზეც იზრუნებს დროის ონანი.

მე მებრალება ვერცხლის ლაქია,
 თუმცა, მეც დაბლა ვდგავარ და ველი,
 დროს, სადაც ვერცხლზე ლაპარაკია,
 რომ ფხიზლად ვიყო იესოს მცველი.

სურვილთა ტალღა 26.12.2015.

როცა ერთხელაც მოვა სიბერე
და დაედება თმასაც რძისფერი,
რადგან სიცოცხლე ვერ შევიფერე,
მოვა სიკვდილი, ვით ხევისბერი,

მე კი დავხვდები, როგორც ონისე:
მე სიყვარულის ცეცხლში მეფლობა
სურვილთა ტალღა უდემონესი
და გულგრილობის უბერებლობა.

დაე, მომადგეს უცნობი ცელით!...
ვინ გაექცევა სიკვდილის შანთებს?
მხოლოდ ის მინდა, რომ ჩემი თხელი
ფიგურა ხვალის სარკეშიც ჩანდეს.

ბავშვობა 24.12.2015.

ბავშვობის დღეთა უხეში ბლალვა
მაშინებს, როგორც ტატამი ჯვართა.
მე მეტმასნება ლერწამი ალვა
და მაგონდება, როგორ მიყვარდა

ლამის ტყე და სხვა უცხო ხედები,
როცა ვიყავი ასე, თორმეტის,
ფიქრში ბავშვობის ხანას ვედები,
იმავე ლელვით და სიმტორომით.

თითქოს, ოცნება პატარძალია,
რომელსაც ჩვენი გონება ელტვის...

და ბავშვობისთვის აღარ ცალია
მოზრდილს, რომელმაც იცის ყოველთვის:

ამაოდ ვეძებთ ბავშვობის ღიმილს,
არც დაბრუნდება ის დრო ხალისად...
დე, შეარხიოს სოცოცხლემ სიმი
ბავშვობის ყველა კარნავალისა.

მომავლის გუნდა 02.08.2015.

(სალომეს)

როცა არ მყავდი, მეგონა ჩემი
იყო სამყაროს სიგიჟე მხოლოდ,
ახლაც იმ აზრის სიღრმეში ვრჩები,
რომ შენთვის ისე უნდა ვიბრძოლო,

თითქოს ჯერ არ ხარ ჩემი ბოლომდე...
შენ ხელისგულზე იარო უნდა,
სინათლის წყარო სახლში მყოლოდე,
რომ ერთად შევქმნათ მომავლის გუნდა.

ახლა იძინე... მე მხოლოდ გიმზერ,
რომ გაღვიძებულს დაგქონდეს შუქი,
როგორც ლაპლაპი ვარსკვლავის ქიმზე
და გამოხედვა გამიქრე მუქი.

თითქოს ამწვანებს სიცოცხლის ხავსებს
სიო და ზევით ძალუჟად მიდის...
და არაფერი ისე არ მავსებს,
როგორც შეგრძნება შენი სიმშვიდის.

მე და ილუზია 19.12.2015.

ჰალსტუხიანთა ბინძურ ბანაკებს
 ანგრევდა ხალხის მოთქმა-მუქარა,
 მე სიდუხჭირე მაჩაჩანაკებს...
 თხა მაინც უთხრის ფესვებს, მუხა რა

ქედმაღლურადაც არ უნდა იდგეს.
 პატარა ნერგი ხშირად ჯობია
 პატარა, მაგრამ მთასავით დიდ ხეს:
 დიდი ხანდახან ავადმყოფია.

ნეტავ, ჰორიზონტს ვინ მიუსია
 შავი სხივები, სივრცეს ვინ ანგრევს?
 მე, ღრმა კოშმარი და ილუზია
 ვანგრევდით სიბრძნის კბილის მინანქრებს.

ვიჟორია 17.12.2015.

მწვანე ტრამალზე მივქერი გიჟივით,
 მე მიმაქროლებს ქარი ამაყი,
 ყურებში მიდგას ჩიტთა ჟივჟივი,
 თავისუფლების ვარ იარაღი.

ეიფორიის მსხვერპლი ვიყავი!
 დაბლა დავამხე ყველა გოლგოთა,
 ვარ უდაბნოში სიცხის მრიყავი
 და ავდარისას ვარ უქოლგოთა

ჭერი და შვება, ქოხი და კარი
 (მწვავე ბრძოლებში ლოცვა მწაღია)
 ვარ ორლესული მახვილი მყარი
 და დაცემულთა ჩუმი გაღია.

ასალი, ძველი

14.06.2009.

ძელი სამყარო... ქარები სისხლის,
 არ იშლის ნისლის ბაღე სიარულს,
 წინ მიუძლოდა ჰადესი არულს,
 წიოდა წვიმა შავი ქარიშხლის.

სისხლიან ღამეს სვამენ გოთები...
 ლილე, ჰელიოს, კონ-ტიკ, რა, ამონ,
 თქვენმა ნათელმა სხივებმა ჭამონ
 სეთი, ჰადესი, ამენჰოტეპი.

საპირისპიროდ ვცურავ დინების,
 ახლაც ვნებები სიზმრებში თრთიან,
 ახლაც პანიას ვეკუთვნი, ფრთიანს
 და მარად ტყვე ვარ პანანინების.

გადახსნა მინამ ბაგედ იების
 ტალღა, მირაჟი... გაკვივის პანი,
 შავად შემერწყა ძველი ანბანი
 შექსპირის მძაფრი ტრაგედიების.

დელტა ნილოსის, ათასი ნავი,
 ეკლებს აკლდება ცრუ ეკლესია,
 ჩემ ცხოვრება უეკლესია
 და ყრუ-მუნჯ ღმერთთა ვარ დამცინავი.

მე გთხოვთ, წამიღეთ სადმე მდელოზე;
 ვერ ვსუნთქავ!... აღარც სულის პურია!
 მკვდარ გრძნობას არ წამს და არც წყურია
 ეს სამყოფელი საანგელოზე!

ორმოცი

27.05.2010.

ვხედავ, ჰაერში ტრიალებს შიში,
როცა გარდასულს ხელით მეხები,
ეფრქვევა ღამეს შენი ჰაშიში
და მატყდებიან ციდან მეხები.

ვიცხოვრე რალაც წელი ორმოცი,
მე ვაჟღერებდი საკრალურ საკრავს,
დე, ვიყო მკვიდრი თეთრი ორმოსი:
ჩემს ორმოს ხსოვნის მდინარე აკრავს.

ჩემი მტერია ყველა სტიქია
და საკუთარი მტერი მენდობა:
ჩემია, რაც მე არ შემიქია
– შხამი, ტკივილი, ტანჯვა, კენტობა.

მე აღარ მინდა ვაი და ვიში,
სქელ ქსელს გაუბამს ბაგეს ობობა,
ღამეს ამღერებს შავი კლავიში
და ისევ მჯიჯგნის ავადმყოფობა.

მე მახსოვს ქალი

02.05.2009.

აღილუია! წერეთ მგოსნებო,
ხატეთ მხატვრებო ქალი, რომელსაც
ქვია ოცნება და საოცნებო
ვისი ჩურჩულიც ახლა მოგესმათ!

საკურთხეველთან არ მდგარა იგი,
მაგრამ ქვრივია უკვე მარადი,
საცალფეხოა ჩემი ბილიკი,
არ არის იგი ბალ-მასკარადი.

გამარჯვების გზა ეკლებზე გადის?
 ეკლიანია ჩემი ცხოვრებაც,
 ტკბილიც, მტანჯველიც, აღმძვრელი მადის,
 გამეფებაც და გამათხოვრებაც.

მე მახსოვს ქალი, იყო რომელიც
 ყველგან, ყოველთვის, სადაც მივედი,
 ლანვებზე ჭირხლებშეუშრობელი
 და უცხო, მწარე სიმუდმივეთი!

დანისლულ თვალეზს 18.04.2009.

როდესაც ლიბრით დანისლულ თვალეზს
 მოელანდებათ თეთრი ხალათი,
 ჩემს მოგონებებს ისევ აწვალეზს,
 Што в небе любовь поднимала ты.

თავს ვაღწევ ძილის შემპარავ ხუნდებს,
 დილის სიცილის მოიმედე ვარ,
 ძილი მკლავს, მე – ძილს, რომ არ გახუნდეს
 გული, მკერდში რომ აღარ ეტევა.

არ არის ჩემთვის მეტი სიცივე,
 სხვა გულისტკენა და სხვა ღალატი,
 ვიდრე უარი იყო მისივე,
 სულ რომ ვატარებ თავის ქალათი.

ტყვე ვარ სიზმრების ძველი ცინიზმის
 არ მტოვებს ვნებით სავსე კალათი,
 დღისით, ღამით, ან ძილის წინ ისმის,
 Што тогда любовь абишала ты.

უფსკრულის ფსკერზე 25.04.2008.

უფსკრულის ფსკერზე მე ვარ დასული,
 შენ ქოჩორს მიშლი მოღრიალე ცავ
 და იმ წარსულის კანკალს დალენავ,
 რომ შემირყია ხორცი და სული.

წრეგადასული კმარა ღრეობა;
 მგონი, ვიღლები ამდენი სმით მე,
 ლექსო, მუსიკა შენში გართიმე,
 მასწავლე შენი მებაღეობა.

მე ზუსტად ვიცი, ვიცი მე უკვე,
 თუ რას მიპირებ სამომავლო ცავ,
 მე იმ ჩემს სავალ აღმართს დავლოცავ,
 ეს-ეს არის რომ უნდა შევუყვე.

მზე თითქოს ერთი ნაზი ქალია,
 ჩვენ რომ გვიღიმის ცეცხლით, ურყევით...
 ვიცი: ეს დილა არახალია,
 ჩვენ აღმართს ერთად რომ შევუყევით.

ჯანდაბა!!! 13.01.2008.

რადგან არ მინდა, არასოდეს მე
 ლექსი, რომელიც იწვევს ინტრიგას,
 აღარ ვუსმინო ვფიცავ, ოდესმე,
 ვაიპოეტს და ვაიკრიტიკანს!

„უგრძნობიაო,“ ეს მაინც ეთქვა,
 „მე მას ვგრძნობ, მაგრამ რაღაც აკლია!“
 ჯანდაბა! რაღა არ დაახეთქა!
 ველარ გავიგე, რა სპექტაკლია?!

რა დაგიშავა ლექსის ხარისხმა,
 თუ პოეზიას გრძნობა მოედო,
 გულის სიღრმეში თუკი არის ხმა,
 როგორც შენ ამბობ, ვაიპოეტო?!

ყველას არ ვუსმენ, რადგან არავის
 დანახვა მინდა, რომელიც როშავს,
 ვინც სულით თხლეა დაულაღავი
 და უფრიალებს სიბნელეს დროშას!

ნეტავ, სად გაქრა 19.06.2007.

ნეტავ, სად გაქრა ძველი თასების
 ძველი ხიბლი და ძველი სიაღვე,
 ის მოგონება ნახალასები,
 მზერა კაშკაშა და მოციხაღვე?

ან იმ სილალის წყარო უღვევი,
 სიყმანვილისკენ რომ ქონდა გეზი?
 რატომ იქცევა ხე ნამუმღვევი,
 სადაა ნეტავ მისი ნუგეში?

სადაა ნაშთი იმ მჩქეფარე დღის,
 რატომ არ აძღვეს სიტკბოს მყავე დროს,
 დღე ღამეს უარს რატომ არ ეტყვის,
 სიკვდილს სიცოცხლე რომ შეავედროს?

ნუთუ, იმედი დაეცა ლეკვის
 და მოგონება მწარე ჟინია?
 რატომ მაშინებს ტალღა წალეკვის,
 სულს თუ სიბერის არ ეშინია?

უდაბნოს მოთქმა 14-16.06.2007.

|

ვარ უდაბნოში. გარშემო ქვიშას
ხედავს თვალი და ხედავს გონება,
ვხედავ სიცოცხლეს, ასე მოშიშარს
და მას სიყვითლე ედემონება.

ჩანს ბარხანები, ავის მდომელი,
მდუმარე ქვიშის მესმის ხრიალი,
ყეფდა სიკვდილი დაუცხრომელი,
იდგა მირაჟის ორომტრიალი.

იდგა ბურუსი შავი ღრუბლების,
სიმყრალე აღწევს ჩემთან მკვდარი ჭის,
დრო არ მაქვს წყალთან გააღუბლების
და ვნატრობ ხილვას მწვანე კარიბჭის.

ბორგავდა ჩემში უდაბნოს მოთქმა,
შიგნიდან მღრღნიდა გლოვა ძლიერი,
აქ გველმა, ხვლიკმა, მე, მზემ – ჩვენ ოთხმა
დავკარგეთ ქვეყნის დასალიერი.

ლემს დასევიან მონა-ყვავები...
რა საზიზღარი სუნი ტრიალებს!
და მზეც, სიმყრალედ მონაზღვავები,
მაფრქვევდა ალის ორომტრიალებს.

გაქვავდა სივრცე, ასე ჯიუტი,
თვალი სიმწვანის ფეთქვას მოელის,
სიკვდილის აფრთხოვს გულს დებიუტი
და სულმა იგრძნო გზა უცხოელის.

||

მწავდა კოცონი წყეული ქვების,
 აქაურობა სურვილს არ შია,
 შორიდან აღწევს ხმები ფლოქვების,
 ვფიქრობ: „ეს რისი ხმაა? რაშია!«

ღრენდა სამუმი უცხო აურის
 და აი, მოდის ნანატრი ხმები!
 ჩემსკენ ნანატრი ქრის ბედაური,
 წყალი მწყურია, მე უკვე ვხმები!

სიკვდილმა ცხენს არ დაასწროს, შიშობს,
 ჩემში მფეთქავი სურვილი წყალის,
 თავის ნაშიერს ცოცხალ გვამში შობს
 წყურვილი სველი აყალმაყალის.

აი, მოვიდა ჩემი ხსნა ცხენით
 (მომაკვდავს სხვა ხსნა არ მეგულება)
 პირისპირ დადგა, რომ დავეხსენით
 მე და სიცოცხლის ხელშეკრულება.

მისი სხეული მე მხედრად მითხოვს,
 – ჩვენ ნამში გავხდით ერთი სხეული
 და ჩვენი შერწყმით დამარცხდა თითქოს
 უდაბნო, ასე ცოფმორეული.

ჩვენ გავაჭენეთ იქითკენ, სადაც
 არ გველის ბნელი სივრცე სამარის
 და ამ სიყვითლის სუნთქვის ფასადაც
 თქრიალებს წყარო ნაკამკამარი.

6. ზ. მეფარე

III

გაფრინდი რაშო, შენ ხომ შემპირდი,
 ხომ ჩამისახე დევნილს იმედი?
 ჩემი სიცოცხლის გახდი შეგირდი,
 მიანდე ჩემს თასს სხვა განიმედი.

აი, ნალკოტიც მოჩანს შორიდან,
 ქშენა-ჭიხვინით ფრთებს ისხამს ცხენი,
 ფლოქვით მინას თხრის, როგორც კორიდა,
 რომ დაელახვრა ყვითელი სენი.

თვალწინ იზრდება თეთრი წერტილი,
 სასონარკვეთას ვხედავ უდედოს,
 ბორგავს სიკვდილი თავმოკვეთილი,
 რომ იმედს ჩაკვლა ვერ გაუბედოს.

შევედით ნატვრის სიყვავილეში,
 აქ ნაკადული მღერის პანია,
 შორს დარჩა ქვიშა, მზე, ყვავი, ლეში
 და ჯოჯოხეთის იმიტაცია.

ვსტუმრობთ სიცოცხლის მწვანე სასტუმროს,
 აქ ოაზისი მზისფრად ელვარებს,
 რომ ჩვენი სუნთქვა დაადასტუროს
 და შეგვადაროს მალალ მწვერვალებს.

აქ კი დუმდება უდაბნოს მოთქმა,
 მჩქეფარე არხი ვერ თვლის აქ ნავებს,
 სიკვდილი მოკლა მათმა ამბოხმა
 და ტალღებს კვეთენ დაუკლანავებს.

IV

შორიდან მოჩანს ქალის პირბადე,
იგი მასპინძლის მათრობს იერით,
თითქოს თავიდან, აქ დავიბადე
ოცნების ბალის სიმშვენიერით.

მაგრამ ეს რაა?! ქრება ყოველი!
ქარი ერთ სიტყვად, „სატანად“ ისმის,
მე ქვიშის ჭაობს ისევ მოველი
და ვუსმენ ხარხარს ბრმა ფანატიზმის.

ოჰ, ღმერთო! ისევ ჩანს ბარხანები,
ქვიშის ტალღების გაისმის ქშენა,
მირაჟო, რატომ მემრისხანები,
ეს რა სასჯელი მეგანაჩენა?

ტყვედ ვყავარ მძლავრი სამუმის შიშებს,
ქარის ხარხარი ესმით ხრიოკებს,
ვუფრთხი მორიელს, მოიერიშეს
და მისი მზერა სულს მინიოკებს...

ნეტავ, რა კვებავს წყეულ ამინდებს?
ვაიმე, გახმა ეს შიგნეული!
ცაში რა ტყორცნის ძველ პირამიდებს,
რატომ ღრენს ქარი გადარეული?

დამრეტილ ძარღვებს გვალვა უალებს,
ალებმა შიგნით ლოდი ალოკეს,
ცხელი მზე აგლეჯს მინას ვუალებს
და ქმნის ცეცხლს, მასთან მოდილოგეს.

V

გამჭოლი მზერით მიმზერს ვარანი...
 რა უნდა მექნა სრულიად მარტოს?
 ისევ იცლება სისხლის მარანი,
 რომ შხამს სხეული ვერ ეკამათოს.

ყოველ ნაბიჯზე ჩანს საქსაული,
 კვენესის გამხმარი მისი ფესვები,
 ფეთქავს და მწყევლის დღე სასნაული,
 რომ გავუნოდე მშრალი პეშვები!

ზეცამ მომხვია შავი თათები,
 ცეცხლივით მკაცრი და მედიდური,
 მე კი ღმერთს თითქმის ვეკამათები:
 „რატომ შვი მინა ასე ბინძური?!“

თურმე უდაბნოს ეს სოფელი გავს,
 მირაჟი – ბავშვის ხალას ზმანებებს
 და ვიდრე ძილში მიყვება იგავს,
 ტანჯვა-წამება თავს არ მანებებს.

თუ ქვიშის მთების ვხედავ ქარავენებს,
 ჩემში რად ინვევს ცხოველ ინტერესს?
 ან, თუ შხამის ზღვა ჩემს სულს არ ავენებს,
 სული გველს რატომ გადაიმტერებს?

ყვავები მყრალ ლეშს ისევ ძიძგნიან,
 ცხოვრების წიგნი მეფრქვევა ისევ:
 „ჩემი მირაჟი შენი წიგნია,
 ხან სუსხიანი, ხან – მომაისე!“

ჩუმი გვერები

28.05.2007.

შენ არასოდეს დაგტოვებს მარტოს
მელანი, დრო და მარადისობა,
თუნდაც ცა წვიმას ემისამართოს
გულში ეს წვიმა „არად“ ისობა.

იცოდე, ჩემი ბევრი გმართია:
მე შენ არასდროს დაგტოვებ მარტოს!
ახლა თვალეებში ისევ მარტია
და ისევ წვიმის თქრიალი გართობს.

მოვიდეს გულში თეთრი ოცნება,
რალა დახვდება აქ ლოდის მეტი?
და მაინც ლანდად აგემგოსნება,
როგორც მქუხარე აპლოდისმენტი.

ისინი მსდევენ მძიმე კეტებად
ვიდრე თვალეებში ისევ მარტია:
მორჩა! ქალაში ჩამეკეტება
დუმილი, გლოვა და აპათია!...

შენ კი არასოდეს გტოვებენ მარტოს
ჩუმი ხილვა და ჩუმი ბგერები...
სულმა სიახლეს უნდა მიმართოს:
მე შენთვის სიკვდილს დავეძგერები!

ლექსის თარეში 15.04.2007.

მე დავიბადე ძალიან მარტო,
 არ ტოვებს შიში ამ სიმარტოვეს,
 აქ სიცოცხლეა უმისამართო
 და პოეზიით თრობა არ მტოვებს.

წვიმა საწვიმარ დროდ ირჩევს ღამეს,
 მაშინ იხარებს სული მუზებით,
 ხვდები: წვეთებმა უკვე დაშხამეს
 ცა, სავსე სკვებით და გიურზებით.

ხვდები, ასველებს წვიმები ივლისს
 და როცა კალმის ხმას გრძნობს ცხელება,
 სიკვდილის მოკვლა თავში მოგივლის,
 რადგან სიცოცხლე გემეტყველება.

წვიმა საწვიმრად ბნელ ცას აირჩევს,
 მისი შხაპუნიც სტუმრობს საღამოს,
 რომ მისმა მუზამ ოქროს კარიბჭეს
 ლექსის თარეში შეუსაბამოს.

ლექსი არ მტოვებს ჩემს თავთან მარტოს,
 ის აფერადებს ჩემს სიმარტოვეს,
 მე იღუმალნი ჰანგები მათრობს,
 მე პოეზია არ მიმატოვებს!

გაღია

18.07.2006.

მე მოვიარე ქუჩა უგრძესი,
რათა მეპოვა სულის გაღია
და ვერ ვიპოვე ქვეყნად ნუგეში,
რადგან გაღია არ მაზადია.

მე მკვლელ სიყვარულს ველარ ველევი
გულის სიღრმეში ნამყოფი ქალის!
მკბენენ წარსულის მორიელები,
მახინჯჳ ჭორებთან შეურიგალი...

უნდა ვიპოვო სულის გაღია,
მე კვლავ მოვივლი იდუმალ ქუჩებს,
თუ უგადიოდ რამ მაზადია
და თუ სიცოცხლე შუქს არ მაჩუქებს.

03.02.2016.

მამათმავლებო! როგორ, ნუთუ არ
შიშობთ, რომ გიდგათ სატანა გვერდით?
არც მე არ მჯერა ღმერთის, ცრუ თუა,
თუ სიბნელისკენ მიმიძღვის ღმერთი.

რატომ სარგებლობთ უფლის სახელით,
ვის დაუძახებთ „დედავ და ცოლო?“
კაცს, ოღონდ ნამდვილს, თვალებგახელილს,
ქალები უნდა ხიბლავდნენ მხოლოდ!

პოეტის ზიგურები 29.12.2015.

ნეტავი, დაუშვა აფრა ვინ,
 რატომ დგას ხომალდი ხესავით,
 ხომ ჩადგა ქარბუქი მზაფრავი,
 ძარღვებში კივილის მთესავი?...

ან, რატომ ვერავინ მნახა მე
 უტყვი და რატომ არ გამცა ხმა?
 გამექცა დღის შუქი და ღამე
 მოვარდა... მიპოვა ცახცახმა.

ან ჯამში ტორები ჩამინე
 სიკვდილო, ან წადი და წადი...
 სხეული გამიხდა სამინე
 მრავალჯერ დამარხვანაცადი.

შავია ეს ყოფა, განა ჭრელ
 ფერებში ვიხილე მე მინა?
 და მწვავედ განვიცდი სანატრელ
 დღეების დეფიციტს... გემიც არ

მიმოდის, დგას და დგას ხესავით
 და მხოლოდ გრიგალი მიყურებს...
 ის არის კივილის მთესავი
 და ანგრევს პოეტის ფიგურებს.

გოლეზის გაზარი 05.12.2015.

ვჩერდები სასტუმროს აბრასთან,
 ვხრი თვალებს ლტოლვილი, ყარიბი.
 ჩემი ბრმა აჩრდილი გაბრაზდა,
 იმედიც გამექცა, ღარიბი.

ავდივარ კიბეზე დაღეწილ,
 მიმიძღვის პანია კაცუნა,
 მაქვს მკერდში მახვილი ნალესი
 და გული, მღვრიე და ტკაცუნა.

მე სუნთქვა მიწყდება რატომღაც,
 ძარღვებში წითელი მდინარე
 პოულობს ყინულის კატორღას
 და მზერა გავაუჩინარე:

თვალები მარგიან არაფრად,
 ჩემი ხმაც ჭირდება არავის...
 ცას ძაძა შემოესარაფნა,
 ვარ მკვიდრი ღუმილის კარავის.

მე ვხარობ წყვილიადი მღვიმეთი
 და ვღუმვარ ბაზართან გოდების
 და ასე მუხლმოყრით მივედი
 ტაძართან, იქ, სადაც ჭოტები

კიოდნენ, გაბმულად კიოდნენ...
 შეშლილი მეც მათთან ვკიოდი...
 ჩავრბოდით ღრმა საიქიომდე
 მე, ყულფი და ისკარიოტი.

სსიპი

04.12.2015.

იქ, სადაც ოცნებამ არწია
 აკვანი და ითვლის უხსოვარ
 სტუმრებს იდუმალი ვარძია
 და ჯაჭვის პერანგი უქსოვა

სამშობლომ გმირების მწვერვალებს
 და სადაც ტირილი ბერწია,
 სადაც მომავალი ელვარებს,
 მინდოდა, აკვანი მერწია

რწმენისთვის და თრთოდნენ ღანვები...
 სამშობლოვ, რაღა დროს ძილია...
 დამტვერილ გალავნებს ვანვები,
 ძახილით მამხნეებს ილია,

მე მინდა, დამდეგდნენ შმაგი და
 ჯიუტი სურვილის გუნდები,
 მრგვალია ყოველი მაგიდა,
 სკამიდან ბრძოლაში ვბრუნდები.

მე ახლა იმედით ვერთობი,
 დამმარხეთ, დამმარხეთ ასევე...
 ამოდის სინათლის ფერდობი
 და სხივებს სხივები მასევენ.

მუსურა

03.08.2016.

წილად გრგებია დიდებული სოფლის ტიტული, მოაჯადოვე, ვინც შენს დიად სურათს უყურა, ვინც დაინახა შენი მთები, ცადაზიდული და თვითონ ღმერთმა დაგანათლა ალბათ, მუხურა. თითქოს რაკრაკით რბიან ჩემში შენი რუები, შენს პეიზაჟებს ასხივოსნებს ბუნების ძალა, სტუმრებს ლოცავ და უსტუმრობას ვერ ეგუები და შენს წიაღში ბილიკები განგებამ კვალა. ნაბლების ტევრში აღმოცენდი, როგორც ნალკოტი, მთელი სიმძლავრით დამატყვევეს ნათელმა გზებმა, შენში ყვავიან ერთდროულად: ალიაქოთი, მთების სიმკაცრე და ჩანჩქერის ღრუბლებთან შებმა.

იქნებ, მოვიდე ისევ შენში... განახავ და მალე ჩაგიკრავ, ოლონდ, მონყენილი სახე დამალე.

უფშური ლექსი

19.12.2015.

შემოდორემიფასოლასდა მუსიკა. ეძებს ხელი ხელს, გული – გულს, გონებაც – თავის ანალოგს, მაგრამ ქვეყანა დაუპყრიათ ყრუებს და ბეცებს, ცხოვრებაც მარილს ემსგავსება, ხარის ანალოკს. უფშურ სახეებს ველარ ართობს ხროვა ცრუების, მკვდრისფერი ადევს აქეთ – რიონს, იქით კი – არაგვს, მაშინ ვიფიქრე (ვიფიქრე და ვერ ვეგუები) რომ კაცთა მოდგმის სიბინძურეს საზღვრები არ აქვს.

ისევ ლაშქარი მაგონდება გორდებიანი, მაგრამ ამაოდ – მხოლოდ ტირის ფორტეპიანო.

მე მელექსე ვარ

31.01.2016.

(სალომეს)

რა გავაკეთო ასახდენად შენი ოცნების?
 მე მელექსე ვარ, ბევრი ვიცი გრძნობის შესახებ!
 მე შენს სურვილებს ტაეპებით ვეჯადოსნები,
 რადგან სარკეში მუდმივ მუზად გამომესახე.
 შენ წყაროსავით უშრეტი ხარ: მოჩქევ და გარბი,
 სადაც სიმშრალეს უარყოფენ ცხელი ღანვეები,
 მკმარა ყოველი, მაგრამ ვრჩები შენს მიმართ ხარბი,
 სუსტი ხელებით გულზე დადგმულ ლოდებს აწვები!
 კვიცი, დამფრთხალი, დაბნეული, რომელიც დედას
 კანკალით ეკვრის, ნუგეშისთვის მკერდზე ახტება,
 ლექსს გავს, რომელიც მშვენიერ სულს შენს არსში ხედავს
 და მე იმ ლექსის მხოლოდ შენთვის მსურს გატახტება.

ერთნი ხართ შენ და პოეზია და თქვენს გარეშე
 მარტო დავრჩები სრულ წყვდიადში და სიმწარეში.

სულთა ძახილი

06.06.2016.

ისევ ამტკივდა უცნაურად დაჩხვლევით მკერდში
 გული – სამარე განსვენებულ ძმათა და დათა,
 თუმცა, დროდადრო მოღრიალე ტკივილი მერჩის,
 მაინც არასდროს შევწყვეტ ბრძოლას, ვიცოცხლო რათა.
 ერთ მთლიანობად ვაკონინებ გარდაცვლილ სულთა
 ძახილს და მუდმივ ადგილს ვუჩენ ხსოვნის დაფაზე,
 განმკარგავს მათი მუდამ ჩემში დარჩენის კულტი,
 ვნუხვარ, ისინი წასვლამდე რომ ვერ დავაფასე.

იმიტომ მინდა ყოფა უფრო, რათა ვიარო
 საფლავებს შორის და ვისმინო ქვათა ღალადი,
 თავზე სევდის და სიყვარულის მედგას ტიარა.

მაგრამ ვნატრობ, რომ მეც ვიხილო მოვლილ ბაღად ის ადგილი, სადაც დავაბიჯებ ცოდვილთა შორის, სადაც დამყივის მოსამართლე სიკვდილის ქორი.

ექვსდღიანი წვიმის რუტინა

19.11.2015.

გარეთ ღვარღვარებს ექვსდღიანი წვიმის რუტინა.
 იმუქრებიან სხეულები ნაცარა ზეცის.
 მომიხტა ქარი და კინალამ დამალუპინა
 (უფლება არ მაქვს...) ეს ცხოვრება, მკაცრი და ბეცი.
 თვალწინ ველოდი ჭიშკრის ჭრიალს, როცა დაგეშილ
 ქოფაკს თითებით ანიშნებდა ჩემსკენ მეკარე,
 სიტკბო ვიპოვე აყვირებულ შიშის ბაგეში,
 მაგრამ უნდა ვთქვა: გავიქეცი, ვერ ვიკლდეკარე...
 შუბლდაყვლეფილი მხოლოდ მინას ვხედავდი, რადგან
 ფეხზე ადგომა სამუდამოდ მომიკვდა ახლა!
 ირგვლივ მყოფებმა რა სპექტაკლიც არ უნდა დადგან,
 ვერ უარყოფენ, რომ ძვლებს მიმტვრევს ცხოვრების დაღლა!...
 როგორ მძულს სარკე! ორეულო, ჩემო, შეასე
 აღავლავებულ ქოფაკს შენი თვალების ხიშტი!
 დანა, რომელიც მე ავლესე, დამდევეს მე, ასე
 გაღარიბებულს გრძნობებისგან... მართლა გავგიჟდი!

მიყურეთ ზურგზე: მე დავტოვე პაიკებიან
 სოფელს, სახლები სადაც ვერცხლით აიგებიან.

ერთი ღუჟინი ღრმულეპი

08.04.2016.

სამკუთხედ სუფრას უზის ექესი ცხედარი. ყინვა მოდის ღუჟინი ღრმულეპიდან და ვალებ ფანჯრებს, მდევარ ეშმაკზე მუდამ ერთი ნაბიჯით წინ ვარ, თავდაცვის ალლო სიფხიზლისთვის ყოველთვის მანჯლრევს. ცეცხლოვან ველზე დავაბიჯებ, როგორც გუბეში, ჩამოიზარდა ციდან ბნელი. თვალწინ აბრაა, იქ, საიდანაც გამოსჭვივის სველი ნუგეში და შიშით დანა უვარდება მსხვერპლთან აბრაამს.

მეიერარქა ილუზიის მხოლოდ სიშავე, კიბის ჭრიალი ინყევლება სიღრმეში მღვიმის, ბანგის მნდეები დალლილ მზერას ველარ თიშავენ.

თვალეების ფსკერზე ცივი ცეცხლი ყოველთვის ღვივის, წვრილ კუპიურებს სიამაყით დავხედე გულზე ხელის... და ხელზე შევიმონმე ჩამქრალი პულსი.

მოგავლის შუბავი

29.12.2015.

როგორც წვრილ მილში, ისე უსტვენს ქარი. დათესილ ძილს მინგრევს, შუბლის ღარებს მიღრღნის, როგორც ნაფოტებს.

მლადრა ღავლავმა ღრმა ღრმულეპში მოღალადესი, ახლა ორეულს ველურ ყიჟინს წამოაბოდეებს ხმა შეწყვეტილი თქართქურის... მე ვრჩები მარტო! ბარხანებს მიღმა სამუმი ყევს, როგორც ფინია და მრჩება ისღა, მცირე ბალის საზღვრები ვზარდო, დავდევ ორეულს და სიგიჟის არ მეშინია.

შორს გავიტაცე საკრალური ბუტბუტის ექო,
 მებერებიან დასახეთქად ძარღვები ვინრო,
 უნდა ღრუბლებში დაკლანკილი კივილი ვჭექო
 და ორლესული კრატერიდან ზეცამდე ვიძრო!

სარკეში ვილაც გასარტყმელად მაგებებს ლოყას,
 მომავლის შუბებს აგროვებს და ძვლებივით ლოკავს.

თეთრი ქალაქი

16.02.2007.

შენში მუხლმოყრით ლოცულობენ თეთრი ძალები.
 ჩვეული სიღრმით ეუფლები მოვარდნილ ქარცივს,
 ლოცვის სიკეთით განწმენდილი დაიკრძალები,
 რომ სამუდამოდ ებინადრო სულეთის არქივს.
 ამ მინის მკვიდრი ცაში დაფრენ ძველი ოცნებით;
 იქ ზეციური სახლი გიდგას ლურჯი განგების,
 შენ საკუთარი უკვდავებით დაიკოცნები
 და მის სიღრმეში მძლავრ მუსიკად აიჰანგები.
 შენ ხვდები, რატომ დაფრინავდნენ დაბლა მერცხლები
 – რომ შენი წასვლით ამ ღრუბლებით ზეცა ტიროდა!
 როცა რძისფერი თოვლის ფიფქით შეივერცხლები,
 ნახავ: მოლიე ამა სოფლის უნაპირობა.
 ნუ დაღონდები, მძიმე ციდან თავზე რომ განვიმს,
 შენ უკვდავებით მოიპოვე სულის ნუგეში,
 კრძალვით მიიღებს ეს თაობა შენს შემონანირს
 და სამუდამო სხივად შეხვალ ცის სიმუქეში.

ნუ დარდობ დროო, მწარე იყო შენი ეკლები,
 მაგრამ სიზმრებში მუდამ ტკბილად აირეკლები.

ზამთრის პიიზაჟი

30.11.2015.

მოდის ზამთარი. მიატოვეს მერცხლებმა ბუდე.
 ჰაერს ყინული უზავდება უჩინო ჯაჭვით.
 ზაფხულის ხედიც, ღამეებო, მსხვერპლივით დანვით
 და მომყარეთ ლოლოები, ცხრა თვე რომ ვზლუდე.
 მიახლოვდება უტიტვლესი ტოტების ქსელი,
 ხარის რქებივით მესობიან ფერდში ტორეროს,
 გაზაფხულამდე ვერ მოისმენს გული „ორერას...“
 მე ვდგავარ, როგორც ქანდაკება, ვდუმვარ და ველი,

როდის გასკდება მწვანე კვირტი პირველად, როცა
 ბუხრის ცეცხლივით აყვებიან მზეთა სხივები,
 ამაყი მზერით როცა სივრცეს ვეარწივები;

ჩვენში ხომ მწვანე სურვილები განგებამ ლოცა,
 სული შთაგებერა რძისფერის და შავის ნაზავით
 და მუდმივი ზრდა დაგვაბედა ღვთის რწმენასავით.

სულთა ტანდემი

04.10.2015.

(სალომეს)

ახლა ოთახში სიჩუმეა. ვასხამ ძუაზე
 მედალიონის თეთრ ბურთულებს და ფიქრი მიტევს:
 „სიცოცხლის მიღმაც გვეყვარება ნეტავ, თუ ასე,
 როგორც ზამთარში შიშველ ტოტზე შეყუჟულ ჩიტებს?“
 ვიცი, დრო ანგრევს და ახუნებს ყველაფერს, მაგრამ
 სულთა ტანდემი უკვდავია! (ვფიქრობ მეც ასე)
 ვხედავ, რომ დროის მარადიულ დინებას ჩაგრავე
 და აღარ ვფიქრობ ქვესკნელზე და ყორნის ზეცაზე.

ასე უბრალოდ ვერ დავტოვებთ სულეთის ნაძვნარს,
ჩვენ უნდა დავრჩეთ, სხვა გზა არ გვაქვს! მძაფრლანდებიან
სახლს მოუხდება მოგონების კედლებში ჩანვნი,
სადაც წარსულთან შესახვედრად დაბრძანდებიან.

რა უსაზღვროა დედამინა: მოვკვდებით აღარ,
რადგან სიცოცხლის უნაპირო, უძირო ზღვა ხარ.

ჩვენს სასახლეში

10.09.2015.

(სალომეს)

ჩემი ცხოვრება წარმოადგენს ორად გახლეჩილ
მელექსის ყოფას, შენ გიჭირავს რომლის სადავე,
ახლა სიმშვიდის მადლი ჭარბობს ჩვენს სასახლეში,
ანგელოზები ასე ღმერთის შექმნას ხატავენ
მხოლოდ... ძვირფასო, ჩემს უდაბნოს თუ შეები და
ბალი შექმენი, ამ წალკოტში ასევე ძალგის,
წყარო დაღვარო ჩემი თვალის ბუდეებიდან,
ისე კამკამა, რომ შეშვენის კლდესავით სალ ფიცს.
მე კი ყოველთვის გაგალიმებ ჩემი გიჟობის
უდასასრულო ფრეგატებით და იგრძნობ მაშინ,
რომ ეს ამბავიც ნაწილია მარადისობის,
როგორც აღმდგარი მაცხოვარი განდევნილ ყრმაში.

აღარ დავეძებ დაკარგულ წლებს, ვიპოვე უკვე
ის გზა, რომელსაც სამუდამოდ უნდა შევუყვე.

მარადისობის განთიადი

16.05.2014.

(სალომეს)

როცა წარსულში ვიყურები, ვხედავ დაგლეჯილ ბავშვობას, შემდეგ მარტოობის უძირო ჭაობს, მაგრამ არ ვრჩები მორიელურ სისაძაგლეში და მომავალი ტკივილიან წარსულთან დაობს. თვალებს ვახელ და ვხედავ გვირავს, სადაც განთიადს ხელის ფათურით დავეძებ და ვპოულობ კიდევ, გუშინდელი დღე ჩემი ყოფის მხოლოდ ლანდია, რადგან ნაყოფი იმ ჯვარისა, რომელიც ვზიდეთ, სიყვარულშია! შენს თვალეებში, ყოველთვის მწამდა, იყო სინათლე, იყო სიტბო... და ცხადში გნახე, მარადისობის მწვერვალებში ატყორცნილ წამთან და ყვავილებში ფიქრიანი განათდა სახე!

გადავრჩი შენთვის, რადგან გულში მუდამ ვიცოდი, რომ შენ იყავი განთიადი მარადისობის.

ძილის ზვირთები

03.10.2010.

როგორც ბუდიდან აფრენილ ბარტყს დედა აცილებს, ისე აცილებს თავის პირმშოს – დედაა ძილი, ჩვენ მორფეუსი ტვინში გვიდებს უცხო ბაცილებს და ვუსმენთ ლოცვას, ან არ გვტოვებს ყვავის ჩხავილი. სათავეს მუდამ ძილში იღებს გუშინ ნანახი, მწვანე ბალები, ან სივრცეა სიზმარში შავი, სახეზე გვადევს კომმარების მყრალი ტალახი, ან ლურჯ ძარღვებზე მონარნარებს ნარ-ეკლის ნავი. ჩვენ, დაღლილები, მშობლის კალთას ველარ გავცდებით,

ის ფეხმძიმდება ყოველ ღამით განძთა განცდებით და ყოველ დღით კოცონს შობენ მისი ზვირთები.

ვემორჩილებით იმ ზვირთების გემის კაპიტანს, მაგრამ ერთხელაც ის კოცონი ველარ აგვიტანს და საბოლოოდ შეშლილობით დავიტვირთებით.

ბრმა სიზმრები

12.04.2007.

შენ თავს გესხმიან ბრმა სიზმრები, ისე მარდები, რომ გეშინია, არ შეიგრძნო მათი სიღრმავე, რბოლის წყურვილის შორ ჰორიზონტს უკოშმარდები და შელალადებ ის სივრცეებს, ქარს რომ რითმავენ. გეშინია, რომ ფანტაზია კოცონს ამინთებს იმ სიღრმეებში, ილუზია რომ ენოდება, რომ ცივი სისხლით არ შეერწყას წყეულ ამინდებს ჩუმი ტკივილი, ტანჯვა, გლოვა და შეცოდება.

შენი ღალადის ანარეკლი ეს მე ვარ, ნისლი, მაგრამ შენს თვალწინ ვიფანტები და მოლბერტს გიშლი.

ნამიერი და

28.12.2015.

სადაც მივდივარ, ყველგან ვხედავ მღვრიე გუბურებს, თითქოს ქვეყანა ასეთი არის...

მათი ფსკერიდან გამყინავი ცეცხლი გუგუნებს, მზიდველი მძიმე ფოლადის ჯვარის.

გაგიჟებული ხმები ხტიან ავი ქარიდან, ნიავიც ბრაზობს ამიერიდან...

პირი ხანგრძლივი წყვდიადებით ავიკარი და ვთქვი: „სიკვდილია ნამიერი და.“

ბნელი ოქრო

26.11.2015.

ბრჭყვიალს დაკარგავს თვითონ ოქროც, როცა მავანი გვიმზერს პოზიდან სირაქლემის და ველარ აღებს ბალის ალაყაფს... უწყლოდ ხმება მისი სავანე... ეჰ, როგორ კარგავს უნაპირო მხვეჭელი ბალებს...

მთელი ცხოვრება მიაქვს თურმე ნიაღვარს წვიმის და ამ ნიაღვარს უგუნურის მზე გაყვა ნებით... ხანდახან ღმერთი სინონიმი გვგონია იმის, რასაც, ვაი, რომ უშედეგოდ ვეთაყვანებით.

შავი ობელისკი

08.04.2015.

როცა შევედი ლაბირინთის სიღრმეში, სულთა და შემომესმა ყრუ ნკაპუნი როცა წვიმათა, მივხვდი, რომ ჩემი თვით უდარდელ შემლილსაც შურდა, განათდა ჩემში და თვითრწმენის ძალამ იმატა.

ჯერ ოცნებების ცხრა ზეცა დგას მხრებზე ისეთი, რომ ნათლად მოჩანს მომავალში თვითონ ბნელიც კი, მე მაპატიეთ ჭკვიანებო, რომ საგიჟეთი ხარხარებს ჩემში და წყვდიადის დგას ობელისკი.

ბილიკი

11.03.2006.

მე ყველა მიყვარს, კაცთმოძულე, ვცდილობ, არ ვიყო, ერთად გავკაფავთ სიყვარულის ეკლიან ბილიკს, ერთად ვიბრძოლებთ, თუ სამყარო ორად გაიყო და ჩვენს ბანაკში ჩვენ დავმარხავთ სატანის ქილიკს.

მე მწამს სიცოცხლის და სიცოცხლის ვიწვი სურვილით,
ვიცი, გავკაფავთ სიყვარულის ბილიკს, ეკლიანს,
მე არავინ მძულს, მე მძულს მხოლოდ თვით სიძულვილი
და თუ რამეს ვმტრობ, მხოლოდ მტრობის ანარეკლია.

ლექსის სუნთქვა

19.08.2007.

მსურს, ლექსის სუნთქვა სიკვდილის ფსკერს არ დაეხარბოს,
მომიკაკუნებს როცა ორმოცი...
მე ავალ ცაში, ვნახავ სივრცეს, ვნახავ ედგარ პოს,
რომ გავხდე მკვიდრი თეთრი ორმოსი!

ის ხდება მკვიდრი მარტოობის სისხლის აუზის...
რა ისტორიის გმირია მკვლელი?!
ჰა, დასასრული პოეზიის სისხლის აუზის,
ჰა, უმეფობას შავი ქვესკნელი!

სარკე

15.08.2007.

რატომ იმსხვრევა სარკე, როცა ჩავიხედები?
ჩემი გულისთქმა ჩემი მტერია,
ხანდახან მოჩანს სულში ბინდი, შავი ხედები,
მწვავე სირცხვილი და მატერია.

ჩემს სიზმრებშიც კი არ ყოფილა ასე ლამაზი
დამსხვრეული და მართალი სარკე,
ის ხომ თავს ისჯის, ის მსგავსია იმ აკლდამასი,
რომელიც მკითხავს: „დღეს ვის რა არგე?“

გატენილ სამკაულს

24.07.2007.

შიგნიდან მიმსხვრევს ვულკანურ ტბებს მზერა კიბოსი,
რომ არ ვუყურო შენს წყვილ ბაცილებს,
მე თვალებს ვხუჭავ, როგორც მეფე ოიდიპოსი,
მაგრამ ეს ტანჯვას ვერ ამაცილებს.
კიბოს თვალებო, ვარდობისთვის რუხო ტანდემო,
თქვენ ვერ ჩააქრეთ ცხელი ქურები,
ყინულო, მკერდში რა კლდეც უნდა აქრიზანთემო,
მანც სიყვარულს ვემსახურები!

და წვიმად მოხვალ 15.01.2007.

მე მარტო არ ვარ, შენი ლანდია
თანამეცხედრე ჩემი ოცნების,
ჩემი სიტყვები ცამდე ადიან,
როცა სტრიქონებს შუქის ტალღად ესხივოსნები.
წარმოსახვაში გავხდეთ ფრთოსნები,
გადავიფრინოთ ზღვა და პრერია,
როცა შადრევნად აიტყორცნები
და წვიმად მოხვალ, რადგან წვიმაც შენმიერია.

სულო, სადაც მიდიოდი

08.01.2016.

სულო, სადაც მიდიოდი, იქ ეშმაკსაც შეშლი,
არ ინვნის იდიოტი ქვემძრომების გესლი,
თორემ ადრე მიგიტანენ საგვიანო საფლავს,
სადაც, როგორც მიკიტანი, დარდს ღვინოში ჩაფლავს
მესაფლავე მხიარული... (მეტი რა ქნას, აბა?!)
სადაც მემორიალური უნდა იდგეს დაფა.

მწყემსი ქალი

13.12.2015.

მწყემსავს ქალი ცხვრებს და ტირის: დაიკარგა ცხვარი...
 ცრემლზე გადის ალბათ, ჭირის და ხალისის ზღვარი.

ზოგი მძიმე ჯვარმა ტანჯა, ზოგს იარა ტკივა...
 ზოგი ეძებს ცეცხლს, თუ ხანჯალს, პირუტყვს არ აქვს თივა.

მწყემსი კარგავს ცხვარს და ეძებს... უპოვნიათ ტყეში
 დაკარგული ცხვარი მხეცებს, ქალს კი მოსდის თქეში.

თეთრი პარანოია

10.02.2016.

არასდროს მესმოდა ბინდისა:
 ან თეთრმა, ან შავმა იმეფოს...
 ზღვებს იტევს მდუმარე სინდისი,
 ღრმებს, წითლებს და უგვირგვინებოს.

მინაში ბუტბუტი ჩაისმა
 და ვურტყამ უგემურ ნაფაზებს,
 თავი ჩამოიხრჩო აისმა
 და აღარც სიჩუმე მაფასებს.

აღარც მე ვაფასებ ზიზლიან,
 გაკვამლულ სარდაფთა მათრობელ
 სიმართლეს! იქ მუდამ მისხია
 სამსალა, რომელსაც ნატრობენ

მარტოსულ პოეტთა რიგები!...
 მე ვუკრავ დასისხლულ როიალს...
 მე, როგორც სასახლე, ვიგები
 და ვებრძვი თეთრ პარანოიას.

ნოემბრის ცრემლები

13.11.2015.

როგორ მოჩქეფეს, ცა იქცევა თვითონ სახით წვიმის,
არ აპირებს მოლუშული ქუთაისი ღიმილს.

მოგვენატრა კარგი დარი, მოგვენატრა შუქი,
აღარ უჩანს ბოლო შავი ღრუბლის მოთქმა-წუხილს.

მონამეთის კედლებს ძირავს ნისლიანი სტიგმა,
თითქოს ველით აღარაფერს ცივი ცრემლის მიღმა.

მშვიდად, გრილო ნოემბერო, მაინც ჩვენში დარჩი,
ოცდაათჯერ გაგვიღიმე ავდარში და დარში!

სასუფეველში შესულთა

28.01.2016.

სასუფეველში შესულთა იღბალი თეთრად მშურს,
სმენას ყვირილი შეძულდა, ვეძებ სულიერ პურს.

რა თავში ვიხლი ელიტურ ბრბოთა შენიღბულ ტყავს,
მათგან რაიმეს ველი, თუ, ვინმე დამცველად მყავს?

სიმართლე ხმაურს მარიდებს, მათი ნიღაბი მღლის,
გავურბი გრძელ ასკარიდებს, როგორც ქვემძრომებს მგლის.

ვაცოცხლებ ჩაკლულ იმედებს, მოარულ ღალატს ვკლავ,
როცა ბრუტუსი იმეტებს გამზრდელ კეისარს კვლავ.

გაღია

03.02.2011.

ხარ ჩემი სულის გაღია, მოქნევა მტრედის ფრთის,
შენ შუბლზე მზე გახატია, შენს მკერდში ოქრო თრთის.

ხარ ჩემი სულის გაღია, შენი ვარ მიწავ, ცავ,
ეგ სუნთქვა ანდამატია, შენ მიზიდავ და მწვავ.

ხარ ჩემი სულის გაღია, იმედი შევლის, ხსნის,
ცრემლები ცაში ადიან, გლოვა ბორკილებს მხსნის.

ხარ ჩემი სულის გაღია, უშენოდ სუნთქვაც მლლის,
მუხლები დაბლა დადიან: – „ასე გიყვარდე please...“

ფიქრების რუ

30.11.2015.

დუდუნებს ფიქრების რუ, მითეთრებს ხელებს და თავს,
ნარნარებს მდინარე ყრუ, მის ფსკერზე ცხვრის ფარა მყავს.

ველოდი დასისხლულ სვავს, ვამტვრევდი ოქროვან ბრებს,
კვლავ უცხო კოცონი მწვავს, კვლავ უცხო სასმელი მგვრემს.

იქ, სადაც აკლდება სკას ფუტკრების ბზუილი ღრმა,
იქ, სადაც მღუმარედ დგას გვირაბის ბოლოში ყრმა,

მე ჩემი ნაღველი მკლავს და სიტყვას ვაჟღერებ ძვირს...
ვუგრეხ საიქიოს მკლავს, ვწუხვარ და კოცონი წვიმს.

აღისფერი ნათება 04.08.2007.

აღისფერი ნათება ღამეს ეკამათება,
 მიწას შეძრავს ჰადესი.
 უძრაობა ვერ მიტანს და აღვიძებს ერმიტაჟს
 შუქი სინყვდიადესი.
 ნაყოფს ისხამს ხე ცრემლის, ის ხე ჩემი ხერხემლის
 შემცვლელია იმედო!
 გმირი ჩემი ტილოსი მზეა მარმარილოში;
 მზეო, არ გამიმეტო!

კვამლის ეუქატი 01.05.2016.

ქრის მისტიციზმი ხვამლის, შემოაბნელდა ტატნობს,
 კოშმარმორეულს კვამლის მძაფრი ეფექტი მათრობს.
 ვაბოლებ ნისლის თრიაქს, წყვდიადში ვეძებ ტაძარს,
 ქარს ჩემგან ისიც მიაქვს, მოუტანია რაც არ.
 მკვლელი ხმაურით ვდუმდი, შუბლზე ვინერდი ტიტრებს,
 რკინის ეკლების გუნდი ტანჯვის მორევში მითრევს.
 მე და შენ, თავო, თითო სასმისიც შევსვათ უნდა...
 კუბომდე უნდა ვზიდო, რაც ჩემში დღემდე დუმდა.

ბზოზა 24.04.2016.

მსუბუქი ფრთების ქნევით შემოდიოდა ბზობის
 დღე და იწევდა ზევით მზე, უმძაფრესი გრძნობით.
 იერუსალიმს აღწევს მალე სიტყვები უფლის!...
 ცრემლი რომ ალბობს ღანვებს, მაშინ ნათდება შუბლიც.
 ის ხალხი უფენს რტოებს სწორედ მაცხოვარ ქრისტეს,
 რომელიც მალე ტოვებს და შემდეგ ქვებით მისდევს.

თიხა

11.04.2016.

ბრბოში შეგზავნილს ვგავარ, არ ვარ საზელი თიხა,
 განდევილობის მთავარ ეტაპზე უნდა ვიყო
 ისეთი, როგორც ახლა, რომ ავიტანო ავი
 ხალხისგან მუდამ დაღლა, რომ არ მოვიკლა თავი.
 დამცინეთ, რაც ვარ, ვარ ეს! მე იქით უნდა ვზილო
 თიხა ექვსივე მხარეს და შევექმნა უცხო ტილო.

ქალიან დიდი ხანია

03.06.2016.

ქალიან დიდი ხანია, მტანჯავს ძლიერი მანია,
 ისე დავიხრჩო თავი,
 დავაზიანო არავინ, დავდგა სიმშვიდის კარავი
 და არა გლოვა შავი.
 მაგრამ ვერ ვაგნებ მე ასეთ სიკვდილს და თუმცა, მეასედ,
 დღეს სუიციდის მწამდა,
 დავფიქრდი; მსურდა, ვენახე მართალის წასვლის ვენახებს,
 მარადისობის წამთან.

უთქმელი სივრცე

07.03.2016.

ტიროდა უთქმელი სივრცე; სიბნელე სიბნელეს დათესს...
 სინათლე ვის უნდა მივცე, მე თვითონ თუ არ ვქმნი ნათელს?
 სულს ლაფავს ნაჩეხი ახო, ტყეს ცულის შიმშილი მართავს...
 სიმართლე სად უნდა ვნახო, თუ ჩემში არ ვეძებ მართალს?
 ნაღველმა მღვიმეში მრიყა, აქ ვათევ ღამეებს მუდამ...
 ვარ ცეცხლში ნაწრთობი თიხა,
 რომ ვერსად დამძლიოს ცუდამ.

ღათვი

17.12.2015.

ბავშვის ნკრიალა სიცილს ცამდე წელავდა დრო და
ულამაზესი რინის თბილი ნიავი ქროდა

და მოდიოდა ზღვიდან ზღვათა სურნელის ტალღა,
მკვლელ რეალობას ვიტან: ყოფა ომს იცვამს თალხად...

დათვი მუქარით ბლავის, სისხლი ძარღვებში წივის,
ასხამს ქალაქში შავი ტყვიის მკვლელური მძივი.

მახინჯვი ქარი ქროდა... მთებზე ეყარა გვამთა
რუხი გროვები, სადაც სისხლს კვლავ პეშვებით სვამდა...
დათვი.

ბებერ კლდეებზე

27.01.2016.

ბებერ კლდეებზე ინვა და შიშინებდა ცაზე
ნისლი, ავხორცი, სიძვა, ნესტიანი და მლაშე.

ჩამობურუსდა ტყეში და აირჩია ვაკე,
მასხამდა სისხლის თქეში, მე რომ ყვილით ვაქე.

ცრიდა ზემოდან ფურთხი, მე კი ვიარე მელოტ
მთებზე და მუშტი ვურტყი მთებს, რომ ნათელი ვწველოთ

მე და აჩრდილმა ციდან, სადაც ღალადი გველის
და საიდანაც ზიდა გველმა სისინი გველის.

მწვანე ფოთლების საფლავი

28.01.2016.

დილას თვალები ვუნაბეთ მე და გვირგვინმა სიმწრისამ,
ვკვდები: სიშავემ კუნაპეტ ღამის კედელზე მიმსრისა.

მხრებზე მასხედან ბუები, ძერა ყივის და უცაბედ
სიშიშვლეს ვერ ვეგუები: შემოსვას დიდხანს ვუცადეთ.

ყვავმა საფლავში (თავლია) მწვანე ფოთლები ჩაყარა,
მინდა, სიბნელე დავხიო, სარკასტული და ჭალარა!

სტვენდა ნაცნობი სონეტი, ქარი ქრის, როგორც რაკეტა,
თვალს ვახელ; სადემონეთი შიგნიდან ჭინკამ ჩაკეტა.

თოვლისფერი ბინდები

03.01.2016.

დიდია სიბრძნე ბუნების, ღრმაა ჰაერის სირბილე,
მხიბლავს ტანიდან გაქცევა და სხვა სულებთან სირბილი.

ვხედავ არნახულ სამყაროს, თავს ვერაფერი მაბრალებს,
ზღვის ფსკერზე დიდხანს ვეძებდი ათასწლეულის ნაპრალებს.

მე საუკუნის უძილო თვალების ფშვნეტა მიგონებს
და კიდევ ერთხელ ვამშვიდებ აღრიალებულ სტრიქონებს.

ვფრინავ კი არა, იქ ვფრინავ, სადაც გაფრენა მინდება!
მე იქ ვარ, სადაც თოვლისფრად იღებებიან ბინდები.

ხანდახან

29.12.2015.

(მდიდრების სამოთხე ღარიბთა ჯოჯოხეთისგან არის შექმნილი)
ვიქტორ ჰიუგო

ყინვის მისტიურ ჰორიზონტს სხვა არაფერი ებადა
– გამოჩნდა სველი ფანჯრიდან: იისფრად ყვავის ხეტიტა...
ღარიბს გონია, განიცდის ჯოჯოხეთს, მაგრამ ცდება და
„მდიდრის სამოთხე იქმნება ღარიბთა ჯოჯოხეთიდან.“

ხანდახან ვხვდებით მეგობრებს, ერთნი მოდიან, სხვანი კი
მიდიან, მაგრამ ტოვებენ ღრმა მოგონებებს უდაოდ.
ხანდახან დგება ბოროტთან უგუნურ ხალხთა ზღვა რიგი
და გვსურს, იუდას მაგივრად იესო ვაიუდაოთ.

ნოემბერი

15.11.2015.

ნოემბერია, შემოდის დღე, მგლისმუხლა და მგლისფერდა,
ღრმა შემოდგომის გემოთი, გარემოც გალიმნისფერდა.

ლოცვას უშვებდა გელათი ქალაქში, სადაც ფარსი დევს
და ლერწმის სარწვევლათი არწევს არწივი ქარში დევს.

მდუმარედ დგანან ჭადრები, მოხასხასენი აქამდე,
ნეტავი, მოსანატრები სიზმრების შედეგს ვნახავდე,

სადაც სიგრილე უებარ სითბოდ სხეულში ჩახტება,
სინათლაც არ იტყუება და სხივებს გვიდგამს ტახტებად.

ჯიჱრნის მონოლოგი

05.10.2015.

ციცაბო კლდეზე ვიდექი, თავს ვგრძნობდი ამაყ ჯეირნად; მწვერვალზე დგომის სურვილმა ზეცისკენ ამასეირნა.

მალლიდან მწყრალად დავყურებ კაცთა ნაკაცარ ნაფოტებს და ვიცი, განდევილობა მუდმივად რატომ მაბოდებს...

სახლად მივიჩნევ უდაბურ კლდეებს, ქარაფებს, ზეგანებს და თავის მდაბლად შეგრძნება ღმერთამდე მასიგრძეგანებს.

მაპატიეთ, რომ ვარსებობ! ლექსად ვიქცევი მალევე და წყაროდ მოვალ, სხვები კი ჩემს სისხლს ამაყად დაღევენ.

უცნობი ტილო

10.06.2016.

ბრბოს თაყვანს რა თავში ვიხლი? მე არ მჭირს დიდების სენი, ვირო, ჩამაზიღე წიხლი, არც აზრი მალელვებს შენი.

დაე, მეც დამჯიჯგნოს ქაჯმა, თუკი მოღალატე ვიყო, კვლავ მიწევს ნერვების დაჭმა, კვლავ გდია სიბნელის ტრიკო.

ვიხურავ ბურუსის თაღებს და მახვევს თაღლითი ვიღაც, გაღავანს მეკარე ალებს და ვზიდავ მოსაზელ თიხას,

რათა მოთმინება ვზილო, გავცე სიყვარული რათა, რომ დღემდე უცნობი ტილო დავხატო მდუმარე ხმათა.

თვითსახრჩობელა

01.01.2016.

უსაშინლესად მტკივა ხვედრი წკვარამის წილი,
მელის ალუბლის ტივი, ვარ სახრჩობელის შვილი.

მიდგას ტალახის სარჩო, ვეხვევი თვითონ კაენს...
ლოდი რაც უნდა ვხარშო, ლოდად დარჩება მაინც.

წყალი შორს არის... ჭები ვთხარე ცხოვრება თითქმის...
როცა ეულად ვრჩები, ჩემზე ნამდვილად ითქმის:
„ღირსია.“

ხმაური და სიჩუმე 03.03.2016.

ყვირილი არ შედის ყურში,
იქ მხოლოდ ჩურჩული შედის,
დავდივარ ხანდახან ურჩი,
ხანდახან მორჩილი ბედის.

სიჩუმეს მოარღვევს ქუჩის
ხმაური, მოდის და მიყეფს...
ხმაურის დატევა უჭირს
მდუმარე პოეტის ციხეს.

გარშემო სინათლეს ანთებს
ის ხელი, მზესავით მძაფრი...
მე ვუვლი ავადმყოფ ლანდებს
და სულში ვმასპინძლობ აპრილს.

უცნობი გბერები

11.01.2016.

ვკითხულობ უხსოვარ ანბანს. მე დავხვევ სატინის ბადეს, სულს ცივი ბურუსი განბანს, იქ, სადაც კოცონი ჩადეს უცნობმა ბგერებმა და მე ვართმევ ქანდაკებას შავ ხელს, უფიშო სხივები ვჭამე: შავ-თეთრი გარემო მამხელს.

მოველი უცნაურ ცხოველს, რაფაზე იცეკვა მთვარემ და ტკაცუნს თითები მთხოვენ, თითებსაც დავიმტვრევ ბარემ!...

კარისკაც ღამეებს ვეტყვი, არავინ მოუშვან კართან... მე ისევ ხმა მესმის სეტყვის და რეკვა იხშობა ზართა.

ღროის კედელი

16.12.2015.

კიბეზე კაკუნი ცერის, ისროდა დამტვრეულ ისრებს, გამქრალი ბავშვობა მღერის და თითებს კანკალით მისრესს

ლანდივით უცნობი ყოფა... გზა მედო, სიბნელის სისქე, თვალს თვალში ვუყრიდი ქოფაკს და ვტრიალდებოდი მზისკენ.

ულრანში ფოთლები დახმა, ღრუბლებში ვეძებდი რუხ და გრძელ ბილიკს... დაწერა ბახმა გალობა იქ, სადაც დულდა

კუპრიან ორმოში ტლაპო, მოდიან ექვსქიმა ჯვრები... მსურს, ვირის ნიხლი ვყლაპო და ღროის კედელში ვძვრები.

გახსოვს?

23.06.2008.

გახსოვს? ჩვენ, ზაფხული, ბალი,
სალამო, ნიავი თბილი,
ღრუბელი წთელი, ლალი
და ნაზი თვალების ჩრდილი.

მახსოვს, საუბრობდი... არა,
გალობდი, გალობდი! ქროდი
ჩვენს ბაღში უმწეო ქარად...
მე ეს მავინწყდება როდი...

მე ახლაც მოგისმენ, ახლაც,
მალლა, უშრეტი ღრუბლების თავზე,
წარსულის ჩურჩულის დაღლას
მოვუსმენ იმედით სავსე.

შეაღე ოცნების კარი,
რა დაგვრჩა ოცნების მეტი...
მე ახლაც მანვალებს ქარი,
ქალი, მოგონება, ბედი.

ჭალაში

06.08.2011.

შევჩერდი ჭალაში. მის ნაპირს
მოესხა ტკივილის მტევანი,
მე ჩემს თავს ვუსახე მიზნად ის,
მეხილა სიფხიზლის ნგრევანი.

გავავსებ ქათქათა ქალაღებს,
ქარიშხლით, წვიმით და ნიავით,
სული კი მინაზე ღალაღებს
სიკეთით, სიგრილით, სიავით.

ნალურსმნევი

08.05.2016.

ნალურსმნევი მტკივა. ველარ უძლებს გული
 უსასტიკეს ბზარებს... ველოდები კვირას.
 დავინახე ნუხელ გამოხედვა მტრული...
 რას მიპირებ ჩუმო მეგობარო, თქვი, რას?!

ნალურსმნევი მტკივა. გული ველარ უძლებს
 ბერნი მზერის ბზარს და უცხოვდება ასე...
 რა დააძღობს ამდენ ტურ-აფთრების მუცლებს,
 ან მეორედ რისთვის გავიარო ზღვაზე?...

მსჯავრი

24.03.2016.

განთიადის ზღვაზე გრძნობდი უცხო სურნელს,
 ნაშუალამევი დილას ნისლში ჩაყვა,
 გარდაცვლილთა რუხმა აჩრდილებმა მკურნეს,
 გადავავადე ჯიბის უსაქმური ჯაყვა.

დრომ უსახო ბედი სხვა ხომალდზე შედო,
 მე ნამდვილად არ ვარ იმ ხომალდის მგზავრი...
 არ გაფრინდე ჩემგან, მომღერალო გედო
 და არასდროს დამდო დაცემულის მსჯავრი.

ქაოსები

01.05.2016.

ხშირად ვჩხუბობ ხორცთან, თუმცა მიყვარს იგი
და ბოლოჟამს უხორცობას ველოდები,
ღრმა ფიქრების მდინარეში ცურავს ბრიგი,
ხტიან ქაჯნი, წვრილები და მელოტები.

თითქოს გულის დანყვეტილი ფესვებია
ხევის ფსკერზე მომაკვდავი ქაოსები...
იქ ნისლები თეთრ მუხლებზე ეშვებიან
სიყვარულით, სიკვდილით და გოაცებით.

საპუთარ თავს

08.02.2016.

მზის და მთვარის ქორწილს ცაში მაყრად ელი,
კიდევ ცრემლის ლანზე ბრწყინვას და რუს ელი,
საშიშად დევს გვერდით ბასრი მაკრატელი,
სწრაფად ბრუნავს მკაცრი ყოფის კარუსელი.

გვერდით ბასრი იარაღი კი არა და,
შეიცანი შენი თავი რატომ ჯერ ვერ?
ხარ ნაკრძალი ამქვეყნიურ იარათა,
უკრავ ძველი საკრავივით მხტუნავ ნერვებს.

პერკის გამოსვენება

17.04.2016.

ცარიელი, ნაღდად, თავის ქალა ჯობს,
ყინულის გულს და ბრწყინვალე გონებას,
გადავწვდები შთაგონების ქარაშოტს,
როცა კვერთხი ბოროტს დაემონება.

ეს სხეულიც დაუჯერებს თუ ჭკუას,
 თუ მბრძანებლად ხელ-ფეხს ტვინი ენება,
 მე მივიღებ შედეგს, ღრმას და უტყუარს,
 რომ დაინყოს კერპის გამოსვენება.

ბაქცევა

10.11.2015.

დამდეგდა ტკივილი, საზიდი ჩემი.
 ვცდილობდი გაქცევას – ვერ ვიცავ თავს და
 თითების გნიასში ისმის: დო-რე-მი...
 ვისვენებ უღრანში მდუმარე ხავსთან.

მთელი დედამინა გაქვავდა რატომ?
 დავკარგე ღიმილი, დავკარგე ძილი!
 ჭინკებმა ღამეში სიმშვიდეც ჩადონ,
 ან ჩამქრალ კოცონთან მიპოვონ გრილი!...

ღამეც ტრიალებს

02.02.2016.

დრო დაუნდობლად უფსკრულში ჩარბის
 და მეცრუება ცხოვრება მარად...
 მჩხვლეტს შუქი, როგორც ბოროტი ზღარბი,
 ტრიალებს უტყვი ტკივილის ჯარა.

ღამეც ტრიალებს, როგორც ბორბალი...
 განვედ შორს ჩემგან, შავო მხეცებო!
 ადრე ჩაკლული და ნაქორფალი
 ბავშვობა სადღა უნდა ვეძებო?!..

ბნელი სასახლე

17.05.2016.

ბნელი სასახლე. იქ არავინ ცხოვრობს. მინები არიან არსად. ფრიალებენ ფარდები ქარში. ყველგან ანთია ჩირალდნები, რომლებიც ადრე, არავინ იცის, ვინ დაანთო, ან როდის. თოვდა. ძველი ჭიშკარი ჭრიალებდა. სხვენში ნიღბები ენყო და ჭერზე თოჯინები ჩამოეკიდათ, ზღარბის ნემსებით დაჩხვლეტილი და მოცინარი. ჭერიდან მტვერი იყრებოდა, როგორც მუდმივი ტანჯვის ნიშანი. განყობილი ელოდა სუფრა სტუმრებს, რომლებიც არსად ჩანდნენ. თოვდა და თოვდა და კიბეებზე ჩირალდნები ლაპარაკობდნენ, როგორ ელოდა ქარის ხარხარს მარადიული შავი დარბაზი... სიჩუმეში იდგა სასახლე.

ხეთა ტირილი

04.01.2016.

როცა გავდივარ ღამის ტყეში საეტილოდ, ვხედავ ჩემსავით მარტოსული ფოთლების ჭკნობას. თითქოს ხეები მეხვევიან, ტოტებს მიწვდიან: „მოყვასო, შენთან წაგვიყვანე...“ მე კი ჩუმად ვარ, არ შემიძლია მათი შველა... ეჰ, როგორ ცივათ, როგორ მოთქვამენ გაყინული ხეები თითქოს... ჩემსკენ ჯიუტად მოაბიჯებს მუნჯი სიმღერის მელოდირი მდუმარება და ვგრნობ, ჰო, მე ვგრძნობ, როგორ მაკრავენ მარტოობის ჯვარზე ლექსები. შავი ფრინველი ჩხავის ავად, ვდგავარ გუბეში და ვუკრავ, როგორც მუსიკოსი ღამის. თენდება.

როცა შენზე ვნერ

12.04.2016.

(სალომეს)

როცა შენზე ვნერ, დაფიქრება მჭირდება აღარ.
 კალამს ვიღებ და სრულ დუმილში გალობა მესმის,
 მესმის ტალღების მშვიდი ხმები, ჩიტების სტვენა,
 ბაღების სუნთქვა, ბერის ლოცვა და ტყის შრიალი.
 მესმის ის, რაზეც ვოცნებობდი მთელი ბავშვობა.
 არასდროს ვიცი, რა ვიფიქრო, მაგრამ ფიქრები
 არ მშორდებიან... შენ ხანდახან არ მყავხარ გვერდით,
 მაგრამ მე ვიცი, წარმოსახვით აცოცხლებ ყოველს.

გაფრენილი ჩიტი

02.03.2016.

მე გაზაფხულის გაღაგანთან სხეულს მივიტან,
 ზამთრით დაღლილი ჩამოვჯდები მდინარის პირას,
 უძველეს ლოდზე და მოვიგონებ,
 რამდენი გვემა ნახა სულმა, როცა სარკმელთან
 მოფრენილ იმედს აღერსიან მეგობრად ვთვლიდი.
 ახლა იმედი გაფრენილი ჩიტი მგონია
 და უიმედოდ თვალს ვაყოლებ ყოფის სარკმლიდან.

კუპრიან ფონზე

30.12.2015.

მე ახლა მესმის აღარაფერი.
 მუდამ მინდოდა, ვყოფილიყავი
 იმ საფეხურზე, სადაც დუმილსაც
 ნავიკითხავდი და ეს დროც დადგა.
 ვკითხულობ ნოტებს კუპრიან ფონზე
 და უფრო მეტად ახლალა ვხვდები,
 რაზე ფიქრობს და რას მეუბნება.

ამბოხება

30.12.2015.

დღემდე მეგონა, რომ ვსუნთქავდი. მე მინდა სუნთქვა!
 ახ, სად წავიდე? ხალხი ბორგავს, როგორც ჩანჩქერი,
 ჩვენი თვალები შუქს ითხოვენ, გულები – გრძნობებს.
 ხელები მუდამ ჯიბეში გვაქვს, ანდა ღმერთისკენ,
 ვერ ვიტან მხოლოდ აუტანლობას,
 მაგრამ არ ქვია დამპალ ცხოვრებას
 დაუსრულებელ დღეთა დენა სამოთხის კარში!
 სამოთხის საშვი როგორ დავთმო? ვიცი, სხეულში
 დახტის წითელი ამბოხება ხისტი ხვლიკების.

რუხი სიჩუმე

14.08.2016.

რუხი სიჩუმე... დერეფნები ელიან მხოლოდ...
 არაფერს. ფრენენ ფარვანები სრულ სიბნელეში,
 რადგან სინათლე აღარ არის – მოკვდა. მე მესმის,
 სიჩუმე როგორ უკრავს ყველგან, როგორ კანკალებს...
 სიჩუმეს არღვევს არაფერი. გვირაბის ბოლოს
 ბოლო წერტილიც ჩაქვრა თითქოს... დამთავრდა! ვიცი:
 ეს შემზარავი წამი ქვეყნის დასასრულია.

მე ვცნობ

27.12.2015.

მე ვცნობ ცრემლების სიღიადეს და არ მჭირდება
 ქედს არ ვუხრიდე ჯანსაღ სიცილს, სადაც ვიპოვი!
 არ ვუჩოქებდე სიხალასეს ბავშვების?! რისთვის?...
 რა თავში ვიხლი ქედმაღლურ სიბრძნეს?
 რატომ მეგონოს მე – პატარას, თავი მონარქი?
 ახლა კი, გულში თვით დუმილმა დაისადგუროს.

ნისლის ფრეგატი

13.12.2015.

მიიკლავნება უნელესი ნისლის ფრეგატი.
 იგი მუქდება, იგი ბრაზობს, იგი კანკალებს.
 ირიბი ხმები ეცემიან ყინულის თვალებს,
 როგორც ტყვიისფერ სტალაქტიტებს მღვრიე შხეფები.
 აჩონჩხილ ვნებებს მოეხვევა ახლა გველივით
 ფენიქსის ყელში გაჩხერილი სპაზმების გემო.
 აქ ყოველივე მწვანე ხატავს მწკლარტე ჭაობის
 დაუსრულებლად აყროლებულ წყევლათა სინდრომს!
 რკინის კისრები იმტვრევიან, მიახლოვდება
 მეტროფობია – გველის ენის საჭაობეთი...
 არ ვიცი, რატომ და საიდან, მაგრამ ვიცი, რომ
 მე მიყურებენ, მიყურებენ და მიყურებენ
 ავაზის დამბლადაცემული თვალების ძვლები!
 თავს ვაქნევ მძაფრად, ყურებიდან და თვალებიდან
 დაბლა იყრება ბოროტების აღქმის მარცვლები.
 მხოლოდ მტრედები ფრენენ ირგვლივ. შარავანდედი
 ჩამოენვიმა ოქროვანი და გამელვიძა.

სტუმარი

17.10.2015.

დუმილს არღვევენ ყრუ საათის ისრები მხოლოდ.
 ტრიალებს სცენა. ილოკება კვამლი უჯიშო.
 ირგვლივ ფორთხავდა ბრმა საპყარი და უსასრულოდ
 იქნევდა ხელებს შერყეული დირიჟორივით.
 თითქოს აბრეშუმს ფხრენს გრიგალი, ისე ხმაურობს.
 უძლური ლანდი ახლოვდება რატომღაც. ვირთხა
 ჯიუტად ითხოვს მსხვერპლის ძვალ-რბილს და ღია კარებს
 მინგრევს სიმართლე არსებობის. მე ვიღებ სტუმარს.

ირეალური

06.12.2015.

მე ამ ღამეში ვარსკვლავების შუქიც მეყოფა,
 რადგან უმთავრესს მივაგენი: ირეალური
 სამყაროს ხედვას! ახლა ვწევარ თვალდახუჭული,
 ვფიქრობ და ვიცი: სამუდამოდ დარჩება ასე...
 სადღაც აპრილი მოყავთ მტრედებს. უკრავს ფლეიტა.

კონტრასტები

13.11.2010.

მინდა, ვუმღერო ღამეს, მთვარიანს,
 მინდა, ბილიკებს შენსკენ გამოვყვე,
 უღმერთოდ დავთვრე ქალის მაგიით
 და ვემეგობრო თვითუარყოფას.
 მე წავიკითხავ „კუ და მორიელს“
 და კუს ადგილზე ყოფნას ვინატრებ,
 მაგრამ არ მჯერა, რომ არ ყვავილობს
 ნაყოფი ჩემი მორიელისა.
 მინდა ღრიალი, მინდა ნირვანა,
 შავი და თეთრი, მტრედი, ყორანი,
 მე მინდა სახლი, მე მინდა წიგნი
 და ამ სიცოცხლის უსიკვდილობა.

მოგაზრებია სულს სიჩუმე

06.09.2009.

მოგზრებია სულს სიჩუმე... მუსიკა მინდა!...
 გარეთ კი ქარებს ახარხარებს მწვანე სავანის
 განუწყვეტელი უმოძრაობა!
 ვიყავი უცხოპლანეტელი, რომ დავიბადე,
 ახლა კი ვიცვლი გალაქტიკას და მე არ ვწუხვარ,
 ხეპრე ვირებო, რომ ვერ მიგებთ, რადგანაც თქვენ ხართ
 ადამის დროის არსებები, მე – ვიმზირები ღრმა მომავლიდან.
 მე ვარ, ვიყავი, ვიქნები კიდევ; აწიეთ ჭიქა.

ლაბირინთი

25.04.2008.

(ყოფილ მეგობარს)

თუ გსურს საუბრის დაწყება ჩემთან
 და მოსული ხარ ჩემთან ძვლებზე სალაპარაკოდ,
 თუ გსურს ნადავლი უმდიდრეს გემთა
 და გსურს, გავლენა მოახდინო ჩემზე, „არაკო“
 (არარაობას გეტყვი ყველაფერს)
 ისე ვერ ნახვალ, რომ პასუხი ჩემთან არ აგო!
 გახსოვს, იყავი ჩემი სულის მენილე? მე კი...
 ნუთუ არ შერჩა ადრე ჩემიანს,
 ახლა კი მყარლს და დაჭაობებულს
 სიმალლე აზრის ევერესტისა?!
 პირველ წამებში მიხვდი: ცდები თურმე სასტიკად!
 რაღაა ახლა შენი ყოფა, რომელსაც უნდა
 საკუთარ ტვინის უჯრედებზე ტყვიების დახლა
 და შენს სუფრაზე სიცილის გუნდა?!
 არ ჩაატარო თავზე ცდები – შენ აზრს შეიცვლი.
 პირველ წამებად თავში სცენები
 გესტუმრებიან იდეალური.
 სიამოვნებას ვერ მოგიტანს თავის წამება...
 შენ შელამება თუ დაგამშვიდებს
 ჩვენი არენის ორნამენტების!...
 კვერცხის ნაჭუჭში ნუ ბანაობ – დიდია მინა!
 მე მიხარია, სუსტი რომ ვარ შენს სიძულვილში!
 მიყურე ახლა – ვარ თვალეები უსინათლოსი
 და ამავე დროს უთვალეხო. მრავალწერტილი.

სარჩევი

ყორნის ეფექტი.....	3
ცისიქითელი.....	4
*** (მშობლების ნახვა მომენატრა).....	4
თეთრი ჭოტები.....	5
სიმაძღრის სენი.....	5
ევას მონოლოგი.....	6
*** (მონარქებს უნდათ).....	6
სამძიმარი.....	7
იარაღს ვკოცნი.....	7
ტურნე.....	8
აპრილის წვიმა.....	8
რუხი შეთენება.....	9
შენ გახსოვს.....	9
ექიმი ლექსი.....	10
მუქი ლანდები.....	10
ორეული.....	11
ვინც თავს ვერ ხედავს.....	12
მე-ნანგრევი.....	12
საფლავის სურათი.....	13
პილატეს ძღვენი.....	13
პოეტი.....	14
ღვინო დაუსხით მოგონებას.....	15
ვიღვიძებ, ვახელ.....	15
აღთქმული მიწა.....	16
*** (ვარ საკუთარი ბრაზის მკვლელი).....	17
აჩრდილი.....	18
ბრძენი მრჩეველი.....	21
დუმდა სალამო.....	22
თუ მოდის ღამე.....	23
თიბათვის შვრია.....	23
ძილქუში.....	24
ალური სუნთქვა.....	24
ქვიშის მირაჟი.....	25
ჭაობის მეჯლისი.....	26
*** (შენს ყოფას მუდამ).....	26
ცეცხლი და ძილი.....	27
თევზები.....	27

თმების ნილოსი.....	28
რიონის მთვარე.....	28
გზავნილი აღმასს.....	29
ვახშამი.....	30
ლამის ხის ნაყოფი.....	31
სულის ტიტრები.....	31
ნულარ ამიხსნი.....	32
ველი განთიადს.....	32
მარტოობა.....	33
მიწა იძვრის.....	34
*** (ვინც რა მოჭორა).....	34
ხმალი და დიადემა.....	35
მიწა ყოველს დაიტევს.....	36
ეშმაკგადაყლაპული.....	36
ჩემი რეპერტუარივ.....	37
სამონარქო ძილი.....	37
აღდგენილის სიმღერა.....	38
ჰორიზონტის ნანა.....	38
ვეგებები ალიონს.....	39
მდუმარების დიდგორი.....	40
საახალწლო.....	41
ვალსი.....	42
განძთა უარი.....	43
ვინც მე გამლექსა.....	43
ირეალური ხმები.....	44
ელადა.....	45
მეგობარი სარკე.....	46
ჩვენი ახალი ერა.....	46
ჩემი ცხოვრება.....	47
ჩრდილის ჩრდილში.....	48
უზარმაზარი დარბაზი.....	48
დედა ვატირე!.....	49
თეთრი დროშა.....	49
მიჯნურის სიმღერა.....	50
ძუ ეშმაკი საყურეთი.....	50
ურდულეები.....	51
ყველგანმყოფი სენი.....	51
ცრემლის სასახლეში.....	52
კვართები.....	53

მე ვახელ თვალებს.....	53
სტრიქონების ვენახი.....	54
თეთრი ქედანი.....	54
ფერადი ველი.....	56
დიდხანს ვიფიქრე.....	56
დევნილი.....	57
მე და ლანდი.....	58
ჩვენი უღელი.....	58
მთვრალი მუზა.....	59
მე და სიმარტოვე.....	60
გომბეშო.....	60
ეს წამი მარტოა.....	61
ობოლი არია.....	62
რელიქვია.....	62
როგორც ტაძარს.....	63
ფიქრი და კათხა.....	63
მეჩხეთურის მუხებში.....	64
გასეირნება.....	64
ხელი და ვნება.....	65
ქარავნები.....	66
მწირი.....	66
ყოფის ნაფლეთები.....	67
მდუმარე მინები.....	68
ქარის მონაყოლი.....	68
სიკვდილის შიში.....	69
ბაღში ხარ.....	70
მედროვეებს.....	71
სურვილთა ტალღა.....	72
ბავშვობა.....	72
მომავლის გუნდა.....	73
მე და ილუზია.....	74
ეიფორია.....	74
ახალი, ძველი.....	75
ორმოცი.....	76
მე მახსოვს ქალი.....	76
დანისლულ თვალებს.....	77
უფსკრულის ფსკერზე.....	78
ჯანდაბა!!!.....	78
ნეტავ, სად გაქრა.....	79

უდაბნოს მოთქმა.....	80
ჩუმი ბგერები.....	85
ლექსისთარეში.....	86
გადია.....	87
*** (*****).	87
პოეტის ფიგურები.....	88
გოდების ბაზარი.....	89
სხივები.....	90
მუხურა.....	91
უჟმური ლექსი.....	91
მე მელექსე ვარ.....	92
სულთა ძახილი.....	92
ექვსდღიანი წვიმის რუტინა.....	93
ერთი დუჟინი ღრმულეები.....	94
მომავლის შუბები.....	94
თეთრი ძალები.....	95
ზამთრის პეიზაჟი.....	96
სულთა ტანდემი.....	96
ჩვენს სასახლეში.....	97
მარადისობის განთიადი.....	98
ძილის ზვირთები.....	98
ბრმა სიზმრები.....	99
წამიერი და.....	99
ბნელი ოქრო.....	100
შავი ობელისკი.....	100
ბილიკი.....	100
ლექსის სუნთქვა.....	101
სარკე.....	101
გატეხილ სამკაულს.....	102
და წვიმად მოხვალ.....	102
სულო, სადაც მიდიოდი.....	102
მწყემსი ქალი.....	103
თეთრი პარანოია.....	103
ნოემბრის ცრემლები.....	104
სასუფეველში შესულთა.....	104
გადია.....	105
ფიქრების რუ.....	105
ალისფერი ნათება.....	106
კვამლის ეფექტი.....	106

ბზობა.....	106
თისა.....	107
ძალიან დიდი ხანია.....	107
უთქმელი სივრცე.....	107
დათვი.....	108
ბებერ კლდეებზე.....	108
მწვანე ფოთლების საფლავი.....	109
თოვლისფერი ზინდები.....	109
ხანდახან.....	110
ნოემბერი.....	110
ჯეირნის სიმღერა.....	111
უცნობი ტილო.....	111
თვითსახრჩობელა.....	112
ხმაური და სიჩუმე.....	112
უცნობი ბგერები.....	113
დროის კედელში.....	113
გახსოვს?.....	114
ჭალაში.....	114
ნალურსმნევი.....	115
მსჯავრი.....	115
ქაოსები.....	116
საკუთარ თავს.....	116
კერპის გამოსვენება.....	116
გაქცევა.....	117
ლამეც ტრიალებს.....	117
ბნელი სასახლე.....	118
ხეთა ტირილი.....	118
როცა შენზე ვწერ.....	119
გაფრენილი ჩიტი.....	119
კუპრიან ფონზე.....	119
ამბოხება.....	120
რუხი სიჩუმე.....	120
მე ვცნობ.....	120
ნისლის ფრეგატი.....	121
სტუმარი.....	121
ირეალური.....	122
კონტრასტები.....	122
მობეზრებია სულს სიჩუმე.....	122
ლაბირინთი.....	123



არა სიკულვილს!

მეზრალებიან უმართავი ღვარკლის მონები,
ვინც სულს ისე არავს უბასრესი სიავის ცულით,
არანდროს უსმენს შინაბან ხმას ცივი გონების
და ავ მეგობრად აირჩია განწყობა მტრული.

ჩხავილის გარდა რას ისწავლის ყვავის გასალა,
რომ ყურთასმენას სამასსმოვრო გბერად მიეგას?!
მას გაუმარჯოს, ვინც ტანჯვის წილ პირში ახალა
არა სიკულვილს, არა შუღლს და შურიისკიებას.

ISBN 978-9941-9541-1-5



9 789941 954115